# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 მარტი, 2014 წელი.

№54 (7435)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## უმძიმესი პრობლემების პირისპირ

# დემაგოგია, სიბრიყვე, სულგაყიდულობა თუ ყველაფერი ერთად?

3

# ლომი – გვარად მელია



6-7

# შოკისმომგვრელი სიმართლე მაიდნის ლიდერების წარსულზე

9



# როდის გახდა მცხეთის ჯვარი ზაქესის საკუთრება?!

4

### რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის მიღებას ხელი მოაწერეს

მოსკოვში ხელი მოაწერეს რუსეთსა და ყირიმს შორის შეთანხმებას ყირიმის რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში მიღების თაობაზე.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, ყირიმის პრემიერ-მინისტრმა სერგეი აქსიონოვმა, ყირიმის პარლამენტის სპიკერმა ვლადიმერ კონსტანტინოვმა და სევასტოპოლის მერმა ალექსეი ჩალიმ.

### რუსეთთან მიერთებას დნესტრისპირეთიც ითხოვს

არაღიარებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სპიკერმა მიხეილ ბურლამ რუსეთის სათათბიროს სპიკერ სერგეი ნარიშკინს წერილობით მიმართა, სადაც ითხოვს, რუსეთის კანონმდებლობაში გაითვალისწინონ შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც, დნესტრისპირეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას შეძლებს.

ამასთან, როგორც არაღიარებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სპიკერმა ბურლამ აღნიშნა, ეს კანონპროექტი მხოლოდ ყირიმის მიერთების შესაძლებლობას იძლევა, დნესტრისპირეთის კი - არა.

მიხეილ ბურლას აზრით, დნესტრისპირეთში ვითარება მას შემდეგ შეიძლება გართულდეს, რაც მოლდოვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.

### რუსეთს „დიდი რვიანის“ წევრობას შეუჩერებენ

„დიდმა რვიანმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რუსეთს ამ გაერთიანების წევრობა შეუჩეროს. ამის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა განაცხადა.

— რაც შეეხება G8-ს, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რუსეთს წევრობა შევუჩეროთ, — განაცხადა ფაბიუსმა.

# კუდზე ფეხი დაადგეს „გადამხდელს?“

2

ანუ „ბაზრის ლიდერობას“ რა უნდა?

# სააკაშვილმა მიცვალებულიც დააპატიმრა...

2





# რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ აპოკალიფსი?!

# კუდზე ფეხი დაადგეს „გადამხდელს?“

## ანუ „ბაზრის ლიდერობას“ რა უნდა?

**გეხსომება, მკითხველო, ერთი ზღაპრის ბოროტი გმირი ყოველდღე როგორ ეკითხებოდა სარკეს, — მითხარ, ვინ არის ამქვეყნად ყველაზე ლამაზი და მშვენიერიო.**

**— რა თქმა უნდა, შენო! — უყოყმანოდ უპასუხებდა სარკე.**

**მორჩა და გათავდა! რეიტინგოსანთა სათავეში ერთთავად ბოროტი ქალი იდგა!**



ამას ანალოგიისთვის არ ვამბობ და არავის არ მივანიშნებ, „რუსთავი-2“ იმ ქალივითაა-მეთქი, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ამ მართლაც ნიჭიერი და შემოქმედი პროფესიონალებით დაკომპლექტებული ტელეკომპანიის ერთგვარი „ნათლია“ მაინც ვარ: როდესაც თავად იგი ამტკიცებდა 2003 წლის „რევოლუციის“ მერე, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ ვარო, ვგონებ, პირველმა მე დავუწერე, გამარჯვებული ხალხის არა, მაგრამ „ხალხზე გამარჯვებული“ ტელევიზია კი ნაღდად ხარ-მეთქი.

„რუსთავი-2“ გუშინ ტელევიზიით ატეხილი ალიაქოთის გამო ვახსენე, რომელი ალიაქოთიც ტელეკომპანიათა რეიტინგის დამთვლელ ფირმაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესვლამ „ააბობოქრა“.

**— იმ ვითარებაში თუ ტელევიზიები ერთად არ ვიქნებით და სამოქალაქო საზოგადოება ჩვენ გვერდით არ დადგება, მივიღებთ ამოყირავებულ სარეკლამო ბაზარს, რაც პირდაპირ ნიშნავს ფინანსურად დამოუკიდებელი და თავისუფალი ტელევიზიების გაქრობას. პირველ რიგში ეს, ბუნებრივია, ჩვენ გვეხება, რადგან ჩვენ ბაზრის ლიდერები ვართ.**

ასეთი, ლამის აპოკალიფსური სურათით დაგვზაფრა გუშინ „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ.

რატომ შეშფოთდა ასე „ბაზრის ლიდერი“?

საქმე ის არის, რომ „თი-ვი ემ-არ საქართველო“ „ნილსენის“ სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვების ლიცენზირებული წარმომადგენელია საქართველოში და 350-ზე მეტი „ფიფლმეტრის“ საშუალებით ტელევიზიების რეიტინგებს ზომავს.

**რეკლამის განთავსების მოსურნე კი ძირითადად სწორედ ამ რეიტინგით ირჩევს თავისთვის სასურველ ტელევიზიას და კარგ გასამრჯელოსაც უხდის მას სარეკლამო მომსახურების სანაცვლოდ.**

ერთი ფრთიანი ფრაზის მიხედვით, **მუსიკას ვინ უკვეთავს?**

ცხადია ის, **ვინც იხდის!**

ამის ანალოგიით, **რეიტინგის სათავეში ვინ არის?**

ცხადია ის, **ვინც იხდის!**

სწორედ ამ თვალსაზრისით გამოვიტანე სათაურში სიტყვა გადამხდელი.

**ბრჭყალებში კი იგი ამადღა ჩავსვი, რომ ეს „გადამხდელი“, ანუ „რუსთავი-2“, სწორედაც „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ უხდიდა ფულს და ძირითადად ამითღა ლიდერობდა „ბაზრის რეიტინგში“, თორემ იგი თავისი შემოსავლებიდან ქვეყნის ბიუჯეტისთვის რა დიდი ხვითო გადამხდელიც იყო, ყველამ კარგად ვიცით: 2003 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში სააკაშვილის ხელისუფლება ამ „დამოუკიდებელ კერძო ტელეკომპანიას“ ყოველწლიურად სულ მცირე ოთხი მილიონით აფინანსებდა, ანუ ბიუჯეტის დავალიანებას პატიობდა.**

ჩვენი, გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე, ხალხო!

**რატომ არ იქნებოდა ასეთი გაზულუქებული „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ აყელყელავებული და „ბაზრის ლიდერი“?!**

ახლა კი რა ხდება?

ხდება ის, რომ აშკარა მფარველ-დამფინანსებელი, სააკაშვილის ხელისუფლების სახით, „რუსთავი-2“-ს უკვე არა ჰყავს!

ფარული დაფინანსების მიღება სარისკოა!!

და ბოლოს, მთლად უარესი: უკვე კუდზეც ფეხი დაადგეს — რეიტინგების დამდგენ კომპანიას მიადგნენ და!!!

...„თავისუფალი ვარდნის“ პირობებში, ვაითუ, ახდეს კიდეც ის, ლამის აპოკალიფსური სურათი, რაც ნიკა გვარამიამ გუშინ დახატა?

**ფუი ეშმაკს, განვედ სატანავ!**

**მაგრამ შეისმენს კი რუსთავორელთა ამ შემოძახილს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური?**

**რუსლან რუსია**

◎ ინფორმაცია

### გაუმჯობესდება პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და ექთნების პირობები

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს შეხვდა.**

**როგორც დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრა იმ რეფორმების ერთ-ერთი ეტაპია, რომელიც მთლიანად მოიცავს პირველად ჯანდაცვას.**



**— ამ რეფორმის მიმდინარეობის პროცესში ჩნდება ახალი გამოწვევები. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვით, მიეცათ სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის უფლება. ხშირ შემთხვევაში, ეს გარკვეულ საორგანიზაციო სირთულეებს ქმნიდა, რითაც, პირველ რიგში პაციენტი ზარალდებოდა. მაგრამ, ხაზი მინდა გავუსვა, რომ მთავარი ლაიტმოტივი შეხვედრისა, არის ის, რომ პირველადი ჯანდაცვის ექიმების და ექთნების პირობები გაუმჯობესდეს. საუბარი იქნება კონკრეტული ტექნიკური საორგანიზაციო საკითხების ირგვლივ, ასევე იმ სააღრიცხვო დოკუმენტაციის მოწესრიგებაზე და მათი ერთი ნაწილის მკაცრი აღირცხვის კატეგორიაში გადატანაზე. ეს ყველაფერი უკვე მოხდა, უბრალოდ გაცნობითი შეხვედრა იქნება“, -განაცხადა სერგეენკომ.**

**კითხვაზე, იქნება თუ არა ლიმიტირებული კლინიკების მიერ პაციენტების მიღება, დავით სერგეენკომ აღნიშნა, რომ ეს საერთაშორისო სტანდარტებით და საერთაშორისო გამოცდილებიდან არის აღებული.**

**„საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულია, რომ პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში, 1 ექიმზე და ექთანზე უნდა იყოს არა უმეტეს 2500 მოქალაქისა. აქ საუბარია ზოგადად მოსახლეზე და არა პაციენტზე. ამ ციფრიდან ცხადია, ყველას არ სჭირდება პაციენტის სტატუსით მიმართვა“, —განაცხადა სერგეენკომ.**

**როგორც ცნობილია, 1 აპრილიდან, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებმა ახალი მოსარგებლეების რეგისტრაცია სპეციალური სააღრიცხვო დოკუმენტის მიხედვით უნდა განახორციელონ. დაჯარიმდება ყველა ის კლინიკა და პოლიკლინიკა, რომელიც პაციენტის უფლებას დაარღვევს და მასთან შეთანხმების გარეშე დაარეგისტრირებს პაციენტებს.**

**ინტერპრესი**

◎ ყოფილების დღევანდელობა

# საკაშვილმა მიცვალებულიც დააპატიმრა...

## „ზურაბ ჟვანიას მოცილება თემურ ალასანიას და მიხეილ სააკაშვილის ინტერესებში შედიოდა“

**„სააკაშვილმა მიცვალებულიც კი დააპატიმრა“, — ასეთ შეფასებას აძლევს პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი For.ge-სთან საუბარში ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდგომ პერიოდს და აცხადებს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ექსპრემიერის საფლავზე სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სპეციალური დაცვა იყო მობილიზებული.**

ამის მიზეზი მარტივი იყო, ოჯახის წევრებს ზურაბ ჟვანიას ცხედრისთვის ექსპერტიზა არ უნდა ჩაეტარებინათ და სიმართლე არ უნდა შეეტყოთ. ეს მაშინ, როცა ოჯახს მაშინვე ჰქონდა ეჭვები ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ძალადობრივი სიკვდილის შესახებ. რაც შეეხება რაულ უსუპოვს, პოლკოვნიკი განმარტავს, რომ ექსპერტიზის ჩატარება ეკრძალებოდა უსუპოვის ოჯახსაც. კერძოდ, უსუპოვებს აშანტაჟებდნენ, მათთან მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ, არავითარი ექსპერტიზა, როგორც კი თქვენ დააპირებთ ამას, პრობლემები შეგექმნებათ.

მისი ინფორმაციით, ეს საკითხი მაშინ დავალებული ჰქონდა კახეთის სამხარეოს უფროსს, რომელიც აკონტროლებდა ამ მიმართულებას და მას ევალებოდა, არ მომხდარიყო ოჯახის მხრიდან მიცვალებულზე ალტერნატიული ექსპერტიზა.

„ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რამდენჯერმე, დაახლოებით ოთხჯერ მაინც, როდესაც მივდიოდი დიდუბის ეკლესიაში, როგორ ყარაულობდნენ ჟვანიას საფლავს. ზურაბ ჟვანიას მოცილება თემურ ალასანიას და მიხეილ სააკაშვილის ინტერესებში შედიოდა. ჟვანიამ კარგად იცოდა, ვინ იყო თემურ ალასანია და მისი პარტნიორი ერიკ გუდისი, მით უმეტეს, ერიკ გუდისის მამა იყო ამიერკავკასიის „ვაენნი ოკრუგის“ უფროსი, რომელმაც კარგად უწყოდა მთელი გზები, როგორ და რა არხებით უნდა მომხდარიყო იარაღის ყიდვა-გაყიდვა. მოგვიანებით მისმა შვილმა გადაიბარა ეს საქმიანობა და გახდა თემურ ალასანიას პარტნიორი. მათ ინტერესში შედიოდა, ეყიდათ თბილისის აეროპორტი და თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინათ აეროპორტში არსებული ტერმინალი „კარიბჭე“.

აეროპორტის შესყიდვის საკითხი როცა დადგა, ჟვანია კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ პირებს ეყიდათ ეს ტერიტორია, რადგან ჟვანიამ კარგად იცოდა, რას წარმოადგენდა ეს ორი ადამიანი და რა შავბნელი საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. ამიტომ ჟვანიამ მათ ხელი შეუშალა“, — აცხადებს ტრისტან წითელაშვილი.

იგი განმარტავს, რომ ეს ინფორმაცია სანდო წყაროებიდან აქვს, ამის შესახებ ჩვენება პროკურატურაშიცაა მიცემული და საქმე სწორედ აეროპორტის გასხვისებას შეეხება, სადაც ალასანია-სააკაშვილ-ჟვანიას და იმ დაჯგუფების ინტერესები გადაიკვეთა, რომლებიც აქტიურად ეწეოდნენ იარაღის კონტრაბანდას საქართველოს ტერიტორიაზე.

პოლკოვნიკის აზრით, ზურაბ ჟვანიას ოჯახს, გარდაცვლილის ძმასა და მეუღლესაც უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია აეროპორტის თემასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ტრისტან წითელაშვილი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აეროპორტთან არსებული ტერმინალის — „საჰაერო კარიბჭის“ მეპატრონე გენრი აროშიძეც ტერმინალში იარაღის შეტანის წინააღმდეგი იყო. თუმცა, ამ პიროვნებას ჯერ წაართვეს „კარიბჭე“ და შემდეგ დაიჭირეს. ეს ადამიანი მრავალი წლის განმავლობაში პატიმრობაში იმყოფებოდა.

ტრისტან წითელაშვილი იმ ვერსიაზეც საუბრობს, რომლითაც შესაძლოა, უსუპოვი და ჟვანია სპეცსამსახურების მიერ ქიმიური ხსნარის გამოყენებით არიან გარდაცვლილები.





პოლკოვნიკის თქმით, არსებობს ხსნარები, რომელიც ხელის ჩამორთმევის შედეგად კონკრეტულ ვადაში მოქმედებს და იწვევს ადამიანის სიკვდილს. თუმცა, ამ ვერსიის ალბათობა გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

„ქიმიური ხსნარი არცთუ იშვიათად გამოიყენება რუსულ სპეცსამსახურებში და სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებშიც. ამ ფორმით შეიძლება მოახდინო ადამიანის ლიკვიდაცია. არ არის გამორიცხული, ზურაბ ჟვანია სწორედ ამ ხსნარით იყოს ლიკვიდირებული. არსებობენ კონკრეტული პიროვნებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალება მხოლოდ და მხოლოდ სპეცსამსახურებში არსებული ხსნარით მოხდა“, — განმარტავს ტრისტან წითელაშვილი და ფიქრობს, რომ თემურ ალასანია ამჯერად თავის მართლების რეჟიმშია. ის ცდილობს, დაუსხლტეს მის მიმართ აღძრულ შეკითხვებს, თუმცა, ამას ვერ ახერხებს.

კონკრეტულად, ალასანიამ ვერ აიცილა შეკითხვა, თუ რატომ იმყოფებოდა აგვისტოს ომის დროს გორში. ამდენად, ტრისტან წითელაშვილს აინტერესებს, რა სტატუსით ჩავიდა გორში თემურ ალასანია, რა შეხება ჰქონდა შეიარაღებასთან და რატომ იყო გაეროში განიარაღების საკითხებში წარმომადგენელი.

„საინტერესოა, რომელი ქვეყნის წარმომადგენელი იყო განიარაღების საკითხში — ევროპის, ამერიკის თუ რუსეთის? ჩვენ ვიცით, რომ თემურ ალასანია რუსეთის კგბ-ს დონის ნომენკლატურა და მისი მაღალჩინოსანი იყო, როცა იმყოფებოდა ევროპის ქვეყნებში, გინდაც ამერიკაში ან თუნდაც საქართველოში, ის ყოველთვის ასრულებდა რუსეთის კგბ-ს დავალებებს“, — აცხადებს ტრისტან წითელაშვილი.

For.ge დაუკავშირდა იაშა უსუპოვს, რაულ უსუპოვის მამას. იგი აცხადებს, რომ იმ პერიოდში ოჯახი დაბნეული იყო და, სამწუხაროდ, იმ მომენტში არც არავინ ურჩია ექსპერტიზის ჩატარება. დღევანდელი დღის გადასახედიდან იაშა უსუპოვი ამბობს, რომ აუცილებლად უნდა ჩაეტარებინა ექსპერტიზა.

„როგორც დღეს ვარ დაწყნარებული, საღ გონებაზე, მაშინ ასე რომ ვყოფილიყავი, როგორ გგონიათ, არ ჩავატარებდი ალტერნატიულ ექსპერტიზას? გარდა ამისა, შეიძლებოდა ყველაფრის ვიდეოფირზე გადაღება. რაც შეეხება საფლავებზე სპეციალური დაცვის დაყენებას, არა მგონია, ჟვანიას საფლავზე დაცვა დაეყენებინათ, საფლავიდან ვინ ამოიღებდა მაგას? ეს არარეალური მგონია. ძიება უკვე დასასრულს უახლოვდება და თემურ ალასანიას ინტერესში იყო თუ არა ჟვანიას მკვლელობა, ამას ძიება იტყვის. აეროპორტის თემის შესახებაც არაფერი ვიცი. გაზით რომ არ არიან დახოცილნი, ეს დღეს ყველამ იცის, მარტო ნაციონალებს არ სჯერათ ამის. ქიმიური ხსნარის ვერსიის შესახებაც ჯერ ვერაფერს გეტყვით, ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, მოკლულები არიან“, — აცხადებს იაშა უსუპოვი.

პუბლიცისტი ვასილ მაღლაფერიძე ჩვენთან საუბარში ვერ აკონკრეტებს, თემურ ალასანიას ზურაბ ჟვანიას მოკვლისთვის რა ინტერესი უნდა ჰქონოდა. იგი ფიქრობს, რომ ასეთი განცხადებები დამატებით მტკიცებულებას საჭიროებს.

**მანანა ნოზაძე**

# დემაგოგია, სიბრიყვე, სულგაუყიდულობა თუ ყველაფერი ერთად?

იმდენი დემაგოგიური და ურცხვი განცხადება გვაქვს მოსმენილი ნაცების პირიდან მათი მმართველობის 9 წლის მანძილზე და 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგაც, რომ ძნელია რამეთი ჩვენი გაკვირვება. მსგავს განცხადებებში, და კიდევ ბევრ სხვა რამეშიც(!), ჩვენდა სამწუხაროდ, არც გამარჯვებული ქოცები ჩამორჩნენ. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ყველას აჯობა, რომ იტყვიან, პირდაპირ „დახურა“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა, როცა „კვირის პალიტრაში“ ჟურნალისტ მერაბ მეტრეველთან სტუმრობისას, მსმენელის შეკითხვით გაცხარებულმა, ზედიზედ ორი ისეთი რამ გვაჯახა, რომ გაკვირვებას გადაჩვეულ ხალხსაც კი პირი დაგვაღებინა. **„არავის მითითებებს (გარედან) ჩვენ არ ვასრულებთ“, ყველაფერს ჩვენ, ანუ საქართველოს ხელისუფლება ვწყვეტთო,** წარბშეუხრელად განაცხადა მან. არადა, მთელმა საქართველომ იცის, რომ მუდმივად მოვლენილი მრჩევლების და ამერიკის ელჩის უკითხავად ნაბიჯს ვერ დგამენ, სიტყვასაც ვერ ძრავენ. ეს ხომ თავად ბიძინა ივანიშვილმაც გამოგვიცხადა არჩევნებში გამარჯვებისთანავე, როცა ჯერ კიდევ გამოირჩეოდა გულწრფელობით: **„ჩემს მოსაზრებას და თქვენს მოთხოვნას სააკაშვილის გადადგომის თუ გადაყენების (იმპიჩმენტის) თაობაზე ამერიკა ვერ იგებს“, ანუ ამერიკა წინააღმდეგია და მეც უძლური ვარ ხალხის მოთხოვნა — სააკაშვილმა კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებში მაინც დაასრულოს პრეზიდენტობა, შევასრულოო.**

ეს არ გვაკმარა პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლემ და ისეთი დანაპირების აღსრულება გვამცნო, ნაცებსაც კი შეშურდებოდათ, ჩვენ როგორ არ მოგვივიდა თავში მსგავსი რამო: **„ნაცებთან კოჰაბიტაცია ქართველი ხალხის მოთხოვნა იყოო“!** საქართველოს მოსახლეობის 80 თუ 90% უკიდურესად აღშფოთებულია არჩეული ქოცების დამნაშავე ნაცებთან შეხმატკბილებული თანამშრომლობით, სწორედ გარედან(!) თავსმოხვეულ (ესეც მაშინდელმა პრემიერმა გაგვიმხილა) კოჰაბიტაციას თვლის სამართლიანობის არაღდგენის მიზეზად, ხიდაშელის ქალი კი უტიფრად გვიმტკიცებს, რომ თურმე ჩვენი შეკვეთა კოჰაბიტაცია ყოფილა, და არა — ნაცების გასამართლება! **ბინძურ პოლიტიკაში ყველაფერს კადრულობენ, მაგრამ კაცი (ქალი) რომ იტყვის: „კოჰაბიტაცია ხალხის მოთხოვნა იყოო“, იმისგან ყველაფერია მოსალოდნელი, სამართლიანობის აღდგენის გარდა!**

პოლიტიკოსების მხრიდან ჩვენს მასხრად აგდებას კარგა ხანია, შევეგუეთ, მაგრამ ქალბატონი ხიდაშელი ამით არ კმაყოფილდება, იგი ქვეყნის ინტერესებისთვის საშიში მოწოდებებითაც გამოდის, როდესაც უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთის სამაგალითოდ დასჯისკენ, რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების გამოყენებისკენ მოუწოდებს ევროკავშირს საერთაშორისო ტრიბუნიდან. დავიჯეროთ იმდენს ვერ ხვდება ინტელექტუალობაზე თავის დამდები რესპუბლიკური პარტიის ერთ–ერთი ლიდერი, რომ სანქციების გზით რუსეთის დაჩოქება წარმოუდგენელია?! **სანქციებით ირანთან ვერ გახდა ვერაფერს დასავლეთი და რუსეთთან მიმართებაში, რომლის გაზზეა მიბმული მთელი ევროპა (ზოგი 30–50 %–ით და ზოგიც — 100%–ით), ეს ხომ უტოპიაა!** ვინც ფიქრობს, რომ ამით რუსეთი დასუსტდება–დაიშლება, ხოლო საქართველო გაბრწყინდება, მას სახეზე უნდა ეტყობოდეს სიბრიყვე, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის ბრიყვი არ არის, ის აშკარა მტერია საქართველოსი, რუსეთის გამაღიზიანებელი ნაბიჯებით იგი თვითმკვლელობისკენ უბიძგებს ქვეყანას — „თაგვმა თხარა, თხარაო...“ ზუსტად ისე დაგვემართება, დროზე თუ არ მოვეგეთ გონს! სანამ რუსეთს დააჩოქებენ, მანამდე შვიდჯერ მიგვაყრის მიწას ჩვენ და ჩვენისთანებს გამძვინვარებული რუსეთი! მერე ვიძახოთ (მიწაში!) რა დიდი წვლილი შევიტანეთ რუსეთის იმპერიის განადგურებაში! **რუსეთის დაქცევის ხარჯზე საქართველოს აყვავებაზე მეოცნებე პოლიტიკოსი რესპუბლიკელი ინტელექტუალი უნდა იყო ან მამალი ნაცი, ანდა, სულაც — „მეოცნებე“!**

ამავე თემას — უკრაინა-რუსეთს შორის არსებულ დაძაბულ მდგომარეობასთან ჩვენს დამოკიდებულებას შეეხებოდა ერთი თოქ-შოუც, სადაც პოლიტიკური მოსაზრებები არგუმენტების ნაცვლად, სამწუხაროდ, უზრდელობით იყო გაჯერებული, და ამაში დიდი წვლილი თავად წამყვანს მიუძღოდა, იმ წამყვანს, რომელიც თავს პირველ ნომრად მიიჩნევს. ინგა გრიგოლიაზე და მის „რეაქციაზე“ მოგახსენებთ.

გადაცემაში მოწვეული სტუმარი, მოსკოვის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი მიხეილ ხუბუტია, რომელსაც განსხვავებული მოსაზრება აქვს 2008 წლის ე.წ. აგვისტოს ომზე, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე და, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკაზე, მაგრამ, რომელიც მოწადინებულია აღდგეს რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა და ამ მიზნით მზადყოფნას გამოთქვამს თავისი წვლილი შეიტანოს ორი ქვეყნის პრეზიდენტების (ან საქართველოს მხრიდან, პრემიერის) შეხვედრის ორგანიზებაში (რაც მას ხელეწიფება პუტინთან პირადი ნაცნობობის წყალობით), ვიღაც ჩხირკიამ და პოეტად წოდებულმა გოგიბედაშვილმა, გრიგოლიას ხელშეწყობით(!), საჯაროდ შეამკეს შეურაცხმყოფელი ეპითეტებით. თავიანთ უზრდელურ გამოსვლებში მათ გადააბიჯეს არა მხოლოდ სტუმარ-მასპინძლობის წესს, არამედ — ეთიკის ყველა ნორმას.

მაინც, სად გამოჩხრიკა გრიგოლიამ ჩხირკია? მაგრამ ნათქვამია: ვინც ეძებს, ის პოულობსო. გადაცემის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ ჩხირკია შემთხვევით მოხვედრილი არ იყო „რეაქციაში“, შემთხვევით არ მიუცია გრიგოლიას მისთვის შესაძლებლობა ხუთჯერ(!) დაეფიქსირებინა თავისი უზრდელობით გაჯერებული „ბრძნული“ აზრები, რომლებსაც, აშკარად ჩანდა, გრიგოლიაც იზიარებდა და მხოლოდ ყასიდად მოუწოდებდა ნორმის ფარგლებს ნუ გადახვალთო. არადა, წამყვანი ვალდებულია(!) დამსწრე აუდიტორიის ნებისმიერ, პირად შეურაცხყოფაზე გადასულ მონაწილეს შეაწყვეტინოს სიტყვა ან მიკროფონი გამოურთოს, და თუ ამას ვერ ახერხებს, მაშინ ასეთ ვაჟბატონს მეორეჯერ არაფრის დიდებით არ უნდა მისცეს სიტყვა. გრიგოლიამ კი მუდმივ სარგებლობაში დაუტოვა ჩხირკიას მიკროფონი და არც გადაცემაში ჩართულ მეორე „ზრდილობიან“ მონაწილეს, დეფი გოგიბედაშვილს აწყენინა — არც ეთერიდან გაუშვა (რასაც ის უდავოდ იმსახურებდა „დახვეწილი“ სიტყვა–პასუხისთვის!) და, უფრო მეტიც, პატივი სცა, გადაცემა მას დაასრულებინა, თანაც, ძალიან მდარე ხარისხის სტროფით.



გრიგოლიამ პუტინ-რუსეთის ამ მაგინებლებს, თითოეულს(!) ცალ-ცალკე, უფრო მეტი დრო დაუთმო, ვიდრე მოსკოვიდან ჩამოსულ, გადაცემაში მონაწილე ერთადერთ(!) სტუმარს. გრიგოლია აშკარად არ წყალობდა აუდიტორიის არც იმ ნაწილს, ვისაც სურდა ობიექტურად და საქართველოს ინტერესებიდან(!) გამომდინარე შეეფასებინა როგორც უკრაინაში მიმდინარე პროცესები, ისე საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკავებული პოზიცია.

სირცხვილი დეფი გოგიბედაშვილს (მისი დეფექტური „მჭევრმეტყველებიდან“ გამომდინარე „დეფი“, სავარაუდოდ, დეფექტურის შემოკლება უნდა იყოს) და კიდევ უფრო დიდი სირცხვილი გრიგოლიას, რომელიც გავრცელებული ფრთიანი გამოთქმის მიუხედავად (დენზე, გაზზე და მასზე), სულაც არ გახლავთ უფასო, იგი ძალიან კარგად ანაზღაურებადი, ძალიან კარგად დაკვალიანებული, მაგრამ უნიჭოდ შენიღბული მხარდამჭერია სააკაშვილის და მისი მიმდევრების.

დაახლოებით, გოგიბედაშვილ-ჩხირკიას შეხედულებების იყო „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარიაც, მაგრამ მას ზრდილობა არ დაუკარგავს, თუმცა(!), უზრდელობის ნაცვლად პრიმიტიული ეშმაკობა იხმარა — იგი ისე გადაახტა შეიარაღებული „მშვიდობიანი“ მომიტინგეების ჩვენთვის წარმოუდგენელ ორთვიან ძალადობას კიევში — „მაიდანზე“ (რასაც, სამწუხაროდ, 100 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა), ისე აუარა მან გვერდი ამერიკის და ევროკავშირის წამყვანი ფიგურების პროვოკაციულ სტუმრობებს მაიდანზე და მათ მაკომპრომეტირებელ სატელეფონო საუბრებს, და ისე გადავიდა პირდაპირ რუსეთის მიერ წამოწყებულ აგრესიაზე (რასაც, საბედნიეროდ, ჯერჯერობით, მსხვერპლი არ მოჰყოლია), თითქოს, მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს იურისტ ლომჯარიასთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

არადა, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ვიქტორია ნიულენდის და უკრაინაში ამერიკის ელჩის ჯეფრი პაიეტის სატელეფონო საუბრის (თებერვლის დასაწყისში, შეიარაღებული გადატრიალების დასრულებამდე შემდგარი) მოსმენის შემდეგ, **აშკარად გამოჩნდა, რომ „მაიდნის“ ფენომენის უკან უშუალოდ ვაშინგტონი დგას და არა — მოსკოვი.** ჯერ კანონიერი ხელისუფლება დამხობილი არ იყო და ეს ორი ამერიკელი უკვე უკრაინის მთავრობას აკომპლექტებდა, და კანდიდატურების შერჩევისას ევროკავშირის მხრიდან შესაძლო არდათანხმებაზე, „გავკარი ევროკავშირსო“ ეუბნება ქალბატონი (!) ვიქტორია ელჩს. ამ ქალბატონმა უფრო უცენზურო სიტყვა იხმარა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ამ საუბრით დასტურდება ის, რაც ისედაც კარგად ვიცოდით — ამერიკაც და ევროკავშირიც ერთნაირად აქტიურად არიან ჩართულნი მაიდნის მოვლენებში და მათ შორის უმნიშვნელო დაპირისპირება მხოლოდ კადრების შერჩევას თუ შეეხება და არა მთავარ მიზანს — აქციონ უკრაინა, ეს რუსეთის მოძმე და მეზობელი სლავური სახელმწიფო, ანტირუსულ სახელმწიფოდ! ნიულენდმა ისიც აღიარა (უკვე საჯაროდ), რომ უკრაინაში განვითარებული პროცესების მომზადებას, მისი სიტყვებით — „უკრაინის დემოკრატიზაციას“(!), ამერიკამ ხუთი მილიარდი(!) დოლარი დაახარჯა (ეს სატელეფონო საუბარი ქალბატონ ნიულენდს არ უარუყვია და გაყალბებულ მონტაჟად არ გამოუცხადებია, პირიქით, მან ბოდიში მოიხადა მიუღებელი გამოთქმისთვის, მხოლოდ გამოთქმისთვის და, რაღა თქმა უნდა, არა — უკრაინის საქმეებში უხეში ჩარევისთვის!) .

კიდევ უფრო სენსაციური იყო გადატრიალების შემდეგ (თებერვლის ბოლოს) შემდგარი საუბარი საგარეო პოლიტიკაში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ, ჩვენს ხშირ სტუმარ ქეტრინ ეშტონსა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ურმას პაეტს შორის. უკრაინიდან ახალი დაბრუნებული პაეტი თავის „სამწუხარო შთაბეჭდილებებზე“ უყვება ეშტონს: **„უკრაინის მოქალაქეებს არა აქვთ „ახალი კოალიციის“ წარმომადგენლების მიმართ ნდობა, ნდობის დონე, ფაქტობრივად, ნულის ტოლია“ და ისინი აცხადებენ, რომ „არც ერთი მათგანი არ უნდა შევიდეს ახალი ხელისუფლების შემადგენლობაში, ყველა მათგანს ბინძური წარსული აქვს“!** როგორც ვთქვით, კიევის ცენტრში 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა სნაიპერის ტყვიით, და მათგან ბევრი „სამოქალაქო პირი“ იყო, ანუ ისინი, რომლებიც არ იყვნენ პოლიციასთან შეჯახებებში უშუალოდ ჩართულნი. ესტონელი მინისტრი თავის კოლეგას (ასეც შეიძლება ითქვას ეშტონზე) უკრაინელი მედიკოსების სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნს აცნობს: „ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ დახოცილები — პოლიციელებიც და ხალხიც ქუჩიდან, მოკლულნი არიან ერთი და იმავე სნაიპერების მიერ“, **„ახალ კოალიციას არ სურს მომხდარის გამოძიება, და ამიტომაც ხალხი სულ უფრო რწმუნდება იმაში, რომ სნაიპერების უკან იდგა არა იანუკოვიჩი, არამედ — ვიღაცა ახალი კოალიციიდან“!** ეს რომ მართლაც ასე იყო, ვიდეოკადრებითაც დასტურდება — უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად ახლახან დანიშნულ სერგეი პაშინსკის თავისი მანქანის საბარგულით მაიდნიდან გააქვს ამერიკული სნაიპერული შაშხანა, ჩუმი და აალების გარეშე სროლის მოწყობილობით აღჭურვილი (როგორ არ გაგვახსენდეს ე.წ. „არაბული გაზაფხული“ ეგვიპტეში, როდესაც კაიროში, ტახრირის მოედანზე ზუსტად ასევე ორივე მხარეს ხოცავდნენ ერთი და იგივე სნაიპერები ადამიანებს!).

მიუხედავად იმისა, რომ მაიდანზე მკვლელობებს იანუკოვიჩს და პუტინს უაპელაციოდ აბრალებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ამ დანაშაულის საერთაშორისო გამოძიებას (ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციისგან) თავად „ბრალდებული“ რუსეთი მოითხოვს, და არა — მაიდნის კოალიცია! **„ამ საქმის ჩაფარცხვას ვერავინ მოახერხებს, სიმართლე თავის გზას იპოვის“,** აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი. ეს ფაქტიც ბევრ რამეზე მეტყველებს!

ყოვლად წარმოუდგენელია, თუნდაც მხოლოდ ეს ინფორმაცია გქონდეს ადამიანს (რომ არ გქონდეს შეუძლებელია, რადგანაც იგი მთელმა მსოფლიომ იხილა და მოისმინა) და ხელს დასავლეთის ნაცვლად, მაინც ჩრდილოეთისკენ იშვერდე. ამას მხოლოდ ორი ახსნა მოეძებნება: აგიტაცია-პროპაგანდით თუ ტრენინგებით ტვინი ისე უნდა გადაგიბრუნდეს, რომ ლოგიკური აზროვნების უნარი დაკარგო, ანდა, ფულის და თანამდებობის სანაცვლოდ სული უნდა გქონდეს მიყიდული ეშმაკისთვის, ყოველივე წმინდა კი — შენი ხალხი, სამშობლო, — დავიწყებული, უარყოფილი!

იანუკოვიჩი და მისი მთავრობა რომ კორუმპირებული, უკრაინელი ხალხი კი უკმაყოფილი იყო, ამაზე არავინ არ დაობს, მაგრამ ისიც არ იწვევს ეჭვს, რომ მათი შეცვლა სულ რაღაც რამდენიმე თვეში იქნებოდა შესაძლებელი მომავალი კანონიერი არჩევნების გზით. ამის მიუხედავად, მაიდნის ლიდერებმა, უკრაინელების საზიანოდ, შეიარაღებული გადატრიალების გზა აირჩიეს (ეს მოხდა იმიტომ, რომ ამ ლიდერებს, რომლებმაც ახლა იგდეს ძალაუფლება ხელთ, თავიანთი „ბინძური წარსულის“ გამო არავითარი შანსი არ ჰქონდათ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის!). **ჩვენზე უკეთ არავინ იცის, თუ როგორი დემოკრატია, კორუფციის როგორი აღმოფხვრა და რუსეთთან როგორი კეთილმეზობლური ურთიერთობა ელის იმ სახელმწიფოს, რომლის ხელისუფლებაც სააკაშვილს და მაკკეინს ამოიყენებს გვერდში!**

ჩვენს გამოტრეინინგებულ პოლიტიკოსებს არ სურთ გაიგონ, რომ ამერიკის მიზანი არა დემოკრატიის ან დიქტატურის დამყარებაა რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოში, არამედ — მისი ყურმოჭრილი მთავრობების დასმა მთელ მსოფლიოში და მათი ხელით ამ სახელმწიფოების რესურსების დაუფლება-კონტროლი. წიაღისეულით უმდიდრეს რუსეთთან მიმართებაში კი — ჯერ მისი დასუსტება შიდა აშლილობით და მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციით (უხვად დაფინანსებული, ასობით ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელით), ხოლო რუსეთის სამეზობლოში (პირველ რიგში, უკრაინა-ბელორუსში და ამიერკავკასიაში, შემდეგ — ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში) — ანტირუსული პოლიტიკის გამტარებელი, რუსეთთან დაპირისპირებული ხელისუფლებების მოყვანით (არჩევნების, ფერადი რევოლუციების თუ შეიარაღებული გადატრიალებების გზით) და, რაც უმნიშვნელოვანესია, ხალხების (უკრაინელი, ქართველი და სხვა) გადამტერებით რუსებზე. ჩვენთან, ეს დიდწილად მიღწეულია, და არც უკრაინაში გაძნელდება, თუ საომარი მოქმედებების პროვოცირება მოხერხდა, რაც ძალიან ადვილია — აშკარად ჩანს, რომ მაიდნელები ისევე უჯერებენ მაკკეინს და ამერიკელ მრჩევლებს, როგორც სააკაშვილი უჯერებდა მათ 2008 წლის აგვისტოში.

**საქართველოს სულიერად და ფიზიკურად გადასარჩენად ერთადერთი გამოსავალი არსებობს — აუცილებელია დაბალანსებული(!), ქვეყნის ინტერესებზე მორგებული საგარეო პოლიტიკა.** ეს კი, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში გამორიცხულია. ამიტომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, ოღონდ არა უკრაინის მსგავსად — არც ფორმით და არც შინაარსით ის საქართველოს არ აწყობს! **უკრაინის სცენარზე მხოლოდ ნაცები ოცნებობენ და ამას არც მალავენ. ჩვენდა საუბედუროდ, ამ ჩანაფიქრის ხმამაღლა გაცხადების უფლებას მათ „ქართული ოცნება“ აძლევს.** ეს კიდევ ერთი (უკვე მერამდენე!) არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ **ხელისუფლება დროულადაა შესაცვლელი, სხვანაირად, ცუდის მოლოდინში (შიგნიდან და გარედანაც!) ქართველი ხალხი მშვიდად ვერ იცხოვრებს, მომავალი ერთობ საგანგაშოა!**

**იაკობ ლეჟავა.**

**P. S. საქართველოს პარლამენტმა თითქმის ერთხმად (106 დეპუტატმა ერთის წინააღმდეგ!) დაუჭირა მხარი „საქართველოს დაცვას“ აფრიკის ჯუნგლებშიც(!) და იქ საომრად გაიმეტა ქართველი ბიჭები! სხვის ინტერესებს და საკუთარ სავარძლებს ანაცვალა მათი სიცოცხლე! არც ავღანეთში და არც აფრიკაში მეომარ ქართველებს შორის არავინ არის რომელიმე პარლამენტარის ან, თუნდაც, მინისტრის შვილი, ძმა ან ახლო ნათესავი! ესეც დასტურია იმისა, რომ ხელისუფლება შესაცვლელია, და ამ 106 „პატრიოტი“ დეპუტატიდან არცერთი არ უნდა მოხვდეს მომავალ პარლამენტში!**

**ი. ლ.**

◎ დღის თემა



# როდის გახდა მცხეთის ჯვარი ზაჰესის საკუთრება?!

## მმართველი პოლიტიკური ძალა უარს ამბობს თვითმმართველობის რეფორმაზე?

**ახალმა მთავრობამ, დაპირებისამებრ, საჩქაროდ მიიღო გადაწყვეტილება და შვიდ ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიანიჭა. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის, ზუგდიდის, გორის, ფოთის შემთხვევაში ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ არ იციან, რა უყონ დანარჩენ ტერიტორიას, მათ რა სტატუსი მიანიჭონ. არადა, არჩევნებამდე დღითი დღე ცოტა დრო რჩება.**

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ 13 მარტს განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ კომისია მოსახლეობას სთავაზობს თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შედეგად დარჩენილ ტერიტორიაზე არსებული დასახლებებიდან თითოთითო თვითმმართველი თემი შექმნან. ამას მყისიერი რეაქცია მოჰყვა არასამთავრობოთა მხრიდან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს იგივე ძველ სისტემაში დარჩენას ნიშნავს. **„რეფორმას ისედაც ეტაპობრივად გამოაცალეს მოქალაქეთა ჩართულობის, სამხარეო თვითმმართველობის, ზიარი გადასახადების შემოღების და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. ახლა კი ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ მთავრობა თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ აღარ აპირებს გააგრძელოს ოპტიმიზაციის პროცესი. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შედეგად დარჩენილ ტერიტორიაზე არსებულ დასახლებათაგან თითო თვითმმართველი თემის შექმნის და ადმინისტრაციული ცენტრების ისევ თვითმმართველ ქალაქში დატოვება ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის დაახლოებას, რაც რეფორმის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო“,** — ამბობს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის მენეჯერი **თინათინ ბოლქვაძე.**

ამ თემაზე 17-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ მეორე დღესვე გაავრცელა განცხადება სადაც წერენ: „კომისიის მიერ შემოთავაზებული მოდელის დამტკიცების შემთხვევაში ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ რეფორმის პირველ და მეორე ფაზებად დაყოფა ხელოვნურია და ხელისუფლებას არა აქვს ნება და უნარი, რეალური თვითმმართველობის განხორციელების საფუძვლები შექმნას. მიგვაჩნია, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებით მმართველი პოლიტიკური ძალა უარს იტყვის თვითმმართველობის რეფორმაზე — საქმეზე, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე წამოიწყო მთავრობამ“.

არასამთავრობოთა ასეთი რეაქციით უკმაყოფილოა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე **თენგიზ შერგელაშვილი.** ის უშუალოდ კურირებდა პროექტს და ეს მოდელიც მისი მოფიქრებულია. ის ამბობს, რომ კომისიამ საზოგადოებას შესთავაზა იდეა და არა საბოლოო გადაწყვეტილება. **„ძნელად მახსენდება პროექტი, ასეთი ფართო განხილვის საგანი რომ ყოფილიყო, — აღნიშნა მან, — შვიდი თვითმმართველი ქალაქის გარდა კიდევ რა მუნიციპალიტეტები უნდა შეიქმნას, 1 აპრილამდე გადაწყდება. დრო ცოტა გვაქვს. მაქსიმალურად მცირე დროში უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათი აზრი გავითვალისწინოთ. არჩევნებამდე რას მოვასწრებთ — ახლა ეს არის მთავარი“.**

სამოქალაქო განვითარების სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი **ზვიად დევდარიანი** აცხადებს, რომ სოფლის მოსახლეობის 88 პროცენტი მომხრეა, ჰყავდეს არჩეული სოფლის რწმუნებული. **„ამაზე ხელისუფლება არ თანხმდება. არადა სოფლის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის 55 პროცენტს შეადგენს. ეს ნაწილი კი არჩეული ხელმძღვანელის გარეშე რჩება. რეფორმის შედეგად რა შეიცვლება იმ ადამიანისთვის, რომელიც სოფელში ცხოვრობს?! არც არაფერი!“** — დასძენს ის.

ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე **დავით ლოსაბერიძე** მთავრობას იმ ვერსიას სთავაზობს , რომლის მიხედვითაც დარჩენილი მუნიციპალიტეტებიდან უნდა შეიქმნას რამდენიმე ზონალური მუნიციპალიტეტი. მაგალითად, დაიყოფიან ბუნებრივ ზონებად ან მაღალ და დაბალ ზონებად; საკურორტო ზონად, მეცხოველეობის ზონად და ა. შ. ასეთი გზით მეტად მოხდება ხელისუფლებისა და მოსახლეობის დაახლოება. ასეთ შემთხვევაში გაიზრდება პირადი კონტაქტები და ცნობადის ხარისხი, გამოვლინდებიან ადგილობრივი ლიდერები. ყველა ზონაში უნდა აშენდეს სერვის-სახლები, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით იმუშავებს. აქ განთავსდება ადმინისტრაცია, ბანკები, იურიდიული მომსახურება და სხვა. **„დღეს 20-30-ათასიანი მოსახლეობის ზონისთვის მაქსიმუმ შეიძლება დაიხარჯოს 200 ათასი ლარი. ეს არის „ჭერი“. მაგრამ აქედან 20 პროცენტიც კი არ იხარჯება მოსახლეობისთვის. თანხების უდიდეს ნაწილს მთლიანად ადმინისტრაცია ხარჯავს საკუთარი კეთილდღეობისთვის“,** — ამბობს ის.

პარლამენტის რეგიონული განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **გია ჟორჟოლიანი** უფრო კოორდინირებულ მოქმედებებს სთხოვს არასამთავრობო სექტორს: **„არჩევნებამდე 3 თვეზე ნაკლები რჩება. ჩვენ გვინდა, მოსახლეობა მაქსიმალურად დავაახლოვოთ ხელისუფლებას, მაგრამ სიჩქარე არ ივარგებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს რეფორმა მთლიანად შეცვლის ჩვენს პოლიტიკურ სისტემას. უნდა შეიქმნას 800-900 ადგილობრივი დონის თვითმმართველობა და ეს არ არის მხოლოდ ტექნიკური საკითხი. 15 ივნისს არაფერი არ მთავრდება, პირიქით, იწყება“.**

ახალი სისტემა უშეცდომო და უხარვეზო რომ არ იქნება ამის ილუზია ხელისუფლებას არა აქვს, მაგრამ სამუშაო ჯერ ისევ თავზესაყრელია. მაგალითად, ჯვრის მონასტერი, რომელსაც აქამდე ვიცნობდით, როგორც მცხეთის ჯვარს, წინა ხელისუფლების წყალობით ზაჰესის ჯვარი გახდა. ანუ ეს ტერიტორია თბილისს მიაკუთვნეს. ასე რომ, სხვა თუ არაფერი, მუნიციპალიტეტების საზღვრების გადაწევა-გადმოწევის საკითხიც კი ბევრ თავისტკივილს გამოიწვევს...

რეგიონული ცვლილებების შესახებ საკითხებს ეხმიანებიან დეპუტატები, რომლებმაც საბოლოო სიტყვა უნდა თქვან მთავრობის შემოთავაზებულ მოდელზე და პულტს თითი დააჭირონ. მათი მიცემული ხმა კი ერთბაშად შეცვლის 3500 სოფლისა და 1000 თემის ბედს.

გორის მაჟორიტარი **სოსო ვახტანგიშვილი** მიიჩნევს, რომ სავსებით შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში დაიწყოს საპილოტე პროგრამა. მაგალითად, ერთი გორიდან შეიძლება 6 სრულფასოვანი ცენტრის შექმნა. ეს ხელს შეუწყობს შიდამიგრაციული პროცესების მოწესრიგებასაც...

ხარაგაულის დეპუტატი **ნოდარ ებანოიძეც** იმის გამო წუხს, რომ კანონპროექტი პირველადი სახით არ დამტკიცდა. **„ის პირველადი ვარიანტი რომ დაგვემტკიცებინა, დღეს ამგვარ წვრილმანებზე საუბარი არ მოგვიწევდა. თვითმმართველობის ადგილობრივი ხარჯი რეალურად 80 პროცენტზე მეტია. ადმინისტრაციებს სამუშაოთა აღწერილობის გამოქვეყნება რომ მოსთხოვოთ, ნამდვილად მძიმე სურათი იქნება. ვინაიდან მართლა არაფერს არ აკეთებენ“,** — ამბობს ის.

ოზურგეთის მაჟორიტარი **ზვიად კვაჭანტირაძე** ამას წინათ პირადად შეხვდა პრემიერ მინისტრს ამ თემაზე სასაუბროდ. **„ღარიბაშვილი ძალიან ფრთხილობს, ეშინია რამე არ დაზიანდეს,** — აღნიშნა მან, — **ის არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული და პროცესების განვითარებას ელოდება. ძალიან დიდ წინააღმდეგობას გვიწევენ გამგებლები. ბიუჯეტს კრუხივით აზიან და არაფერს არ ხარჯავენ. რესურსებს არჩევნებისთვის იზოგავენ. ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო მამასახლისის ინსტიტუტის შექმნა. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. რა სახელს დავარქმევთ, არ არის მთავარი, ფაქტია, რომ მოსახლეობა არჩეულ ხელმძღვანელს ელოდება“.**

საკითხში ჩახედული საზოგადოების წარმომადგენლები კი გულისწყვეტით ამბობენ, რომ ის ამბიციური განწყობა, რაც ხელისუფლებას თავშივე ჰქონდა, გაქრა. ახლა გავაკეთოთ თუ არა რამე — ამ დონემდე არიან დასულნი. რჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობის წარმომადგენლები არ არიან თანმიმდევრულნი, არ იციან, რისი გაკეთება უნდათ, საით მიდიან და ხვალ რა იქნება...

**თეა მოსია**

◎ აკი, ქართულ ღვინოს ვინ იყიდისო?

# საფრთხე ქართული ღვინისთვის

**ქართული ღვინის ექსპორტი 300%-ით გაიზარდა და ბოლო რამდენიმე თვეა, მეღვინეებმაც გაილაღეს, მაგრამ მოულოდნელად მათ თავსატეხი სულ სხვა მხრიდან შეექმნათ. უკრაინის კრიზისი, რომლის მოგვარების გზები ჯერ კიდევ არ ჩანს, ქართველ მეღვინეებს დიდ საფრხეს უქმნის.**

2014 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტის მოცულობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის 3-ჯერ, 296%-ით გაიზარდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 2014 წლის იანვარ-თებერვალში, 50-მდე ღვინის მწარმოებელი კომპანიის მიერ, საქართველოდან მსოფლიოს 18 ქვეყანაში ექსპორტირებულია 9 990 397 ბოთლი ღვინო.

**სამინისტროს ცნობით, ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველ ხუთეულში შედიან — რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ლატვია. ექსპორტის მთლიან მოცულობაში 68%-ით ლიდერობს რუსეთი, სადაც იანვარ-თებერვალში 6 865 545 ბოთლია გატანილი.**

**„ღვინის ექსპორტის მაჩვენებელი მიუთითებს, რომ საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის მიმართ ინტერესი სულ უფრო მეტად იზრდება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ახალი ბაზრების მოძიება, ასევე არსებულ ბაზრებზე ექსპორტის მაჩვენებლის გაზრდა. ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან ერთად“,** — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა.

ჯერჯერობით ღვინის ექსპორტთან დაკავშირებით ვითარება მართლაც შესაშურად კარგადაა, მაგრამ ორშაბათიდან რა და როგორ იქნება, ძნელი სავარაუდოა. საქმე ისაა, რომ ღვინის 2 მთავარ საექსპორტო ქვეყანაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. რადგანაც ყირიმის კრიზისთან დაკავშირებით რუსეთმა და დასავლეთმა მოლაპარაკების ბოლო შანსიც ხელიდან გაუშვეს, მოვლენები ნებისმიერი სცენარით შეიძლება განვითარდეს — უმკაცრესი ეკონომიკური სანქციებით დაწყებული, ორ ქვეყანას შორის სამხედრო დაპირისპირებით დასრულებული.

**ღვინის კომპანიები უკვე საუბრობენ უკრაინის ბაზართან დაკავშირებულ რისკებზე. როგორც „შუხმან ვაინის“ დირექტორმა ნუცა აბრამიშვილმა განაცხადა, უკრაინაში პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა და ბაზარი არაპროგნოზირებადი გახდა, თუმცა, საქართველოდან ღვინის ექსპორტს ამ ეტაპზე პრობლემა არ შექმნია. უკრაინაში პარტნიორი სადისტრიბუციო კომპანიისგან ინფორმაცია ექსპორტისთვის შესაძლო პრობლემების შექმნაზე არ მიუღიათ და მოცულობის შემცირებაზე ჯერ არ ფიქრობენ.**

აბრამიშვილის აზრით, თუ უკრაინაში მიმდინარე პროცესები არ დასტაბილურდა, ეს საქართველოს ეკონომიკას მძიმედ დააწვება.

**უკრაინის ბაზართან დაკავშირებულ რისკებზე საუბრობენ „თელავის ღვინის მარანშიც“. როგორც კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს, უკრაინის ბაზართან დაკავშირებული ხიფათი არსებობს, თუმცა ხელშესახები შეფერხება ჯერჯერობით არ ყოფილა. ზურაბ რამაზაშვილის ინფორმაციით, უკრაინაში ღვინის გაყიდვები სტაბილურია და ამ დრომდე არც ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ჰქონია ადგილი.** მისი აზრით, თუ უკრაინაში მიმდინარე პროცესები არ დასტაბილურდა და მდგომარეობა უმართავ სიტუაციაში გადაიზარდა, ეს არა მარტო მათ, არამედ უკრაინასთან სავაჭრო ურთიერთობის მქონე ყველა ქვეყანას შეუქმნის პრობლემას.

**„პოლიტიკური დაძაბულობის გამო, უკრაინის ეროვნული ვალუტა მნიშვნელოვნად გაუფასურდა. სავარაუდოდ, დაეცემა მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაც, თუმცა, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება ფასების კორექტირება ჩვენი პარტნიორი დისტრიბუტორებისთვის, რადგან შარშან ყურძენი საკმაოდ ძვირად შევისყიდეთ“,** — აცხადებს „თბილღვინოს“ დამფუძნებელი ზურაბ მარგველაშვილი.

მისი ინფორმაციით, რეალიზაციის შედარებით უკეთესი მაჩვენებელია რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ რუსული რუბლიც მნიშვნელოვნად გაუფასურდა.

**„ფაქტია, რომ ორივე ქვეყანა ქართული ღვინის გასაღების უდიდესი ბაზრებია. შესაბამისად, პოლიტიკურ ვითარებას სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია. ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება კონფლიქტის მოგვარებაში ძალას არ დაიშურებს“,** — აღნიშნა მარგველაშვილმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელძღვანელი ლევან დავითაშვილი აცხადებს, რომ ინფორმაციას რომელიმე ქვეყანაში გაყიდვების შემცირების თაობაზე, ჯერჯერობით, არ ფლობს.

**ბექა დანელია**

◉ მემკვიდრეობა



# ყაჩაღების მიერ ყაჩაღიანისთვის გამოტანილი განაჩენი!

**თბილისური უიკენდი აქციების ფონზე დაიწყო. დასავლეთისკენ „მლტოლვარე“ უკრაინასთან მიმდგარ რუსულ ტანკებს, თბილისში პარლამენტის წინ კონცერტით აღუდგნენ! რუსეთის ყოფილ საელჩოსთან „თავისუფალი ყირიმის“ მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ (რას იზამ, საქართველოში „თავისუფალი ყირიმი“ სხვადასხვანაირად ესმით).**

ტელეშოუებში ოპერატორებმა და დამლაგებლებმა ძლივს გამოწიწკნეს ხელიდან ნაცპარტიელებს ქოცპარტიელები. „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემის წამყვანი გადაცემის განმავლობაში ყოველ ხუთ წუთში ერთხელ მაინც ახსენებდა მიხეილ სააკაშვილს და მხოლოდ 22:14 წთ-ზე წამოცდა რაგბში საქართველოს ნაკრების მიერ ანთიმოზ ივერიელის თასის მოპოვება.

საყდრის-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მომპოვებელი მაღაროს საკითხი, კულტურის სამინისტრომ დახურულად გამოაცხადა და საქართველოს ეს კულტურული მემკვიდრეობა, ფაქტობრივად, დაკარგა. გერმანელი მეცნიერების დასკვნა კულტურის მინისტრის მოადგილემ ეკონომიკის დარგში და ამჟამად მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე მარგიშვილმა RMG კომპანიას საყდრისის ტერიტორიაზე „წიაღისეულის“ მოპოვების ნებართვა მისცა.

კვლევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა და დაადგინა, რომ საყდრისი უძველესი ოქროს მაღარო არ არის. ამიტომ არავის აქვს უფლება, მითებზე დაყრდნობით 3000 ოჯახს პრობლემა შეუქმნას. მისი თქმით, დასკვნა გაგზავნილია ინვესტორთან, გადაწყვეტილება მიღებულია და ის არ შეიცვლება. ცნობილია ისიც, რომ კომპანია RMG-ის უკვე უფლება აქვს, საყდრისში სამუშაოები დაიწყოს.

მსოფლიო ბეწვზეა გადარჩენილი.

აბა, წარმოიდგინეთ, რომ გერმანიაში კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია ყოფილიყო და მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი.

დამერწმუნეთ, რომ მსოფლიოს დღეს ტროა არ ექნებოდა. შლიმანს იქაური „მეცნიერები“ მიწასთან გაასწოროებდნენ და ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილივით პოლიციის სამმართველოებში ტარებას არ მოაკლებდნენ.

არ დავიწყებ ამ დასკვნის დეტალურად განხილვას. ამ საკითხზე სპეციალისტები იმსჯელებენ. უბრალოდ, მინდა, ყურადღება მორალურ მხარეზე გავამახვილო.

არა, პრინციპში რა მორალზე უნდა ველაპარაკო ხალხს, რომლებიც ამბობენ, რომ საყდრისში მაქსიმუმ ორი თვის სამუშაო მარაგიაო და იქ აფეთქებების დაწყებას, ანუ მის სრულ განადგურებას მოითხოვენ. მათი ექსპერტები იშველიებენ“ თავად RMG-ის წარმომადგენლის ინფორმაციას, რომლის თანახმად, საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მარაგი არის მხოლოდ ორი თვის. ამდენად, გამოდის, რომ ორი თვის მარაგის ამოწურვის შემდეგ ისინი მთლიანად სპობენ იმ კულტურული ცივილიზაციის კვალს, რომელიც არსებობდა საქართველოში ათასწლეულების წინ ქრისტეს დაბადებამდე. კერძოდ, მაღარო მეოთხე ათასწლეულს განეკუთვნება, ანუ დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინანდელი ობიექტია.

ას ერჩით?

საყდრისის შესახებ საბოლოო ვერდიქტის შემდეგ კულტურის სამინისტროსთან „კვერცხების აქცია“ გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ოდიშარიას უწყებასთან 30 კვერცხი იმის დასტურად მიიტანეს, რომ ხელისუფლებამ საყდრისი გაყიდა (30-მა კვერცხმა 30 ვერცხლი ჩაანაცვლა).

საყდრისის დასაცავად არასამთავრობოებიც ერთიანდებიან და სამინისტროს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებენ. ხელოვნებათმცოდნე ლალი პერტენავა აცხადებს, რომ სამინისტრომ არ შეასრულა გერმანული მხარისთვის მიცემული წერილობითი პირობა საერთაშორისო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, რომელსაც საყდრისის საკითხი უნდა შეესწავლა.

საყდრისი-ყაჩაღიანის დამცველი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ძეგლი უძველესია, ეგვიპტეზე ადრეული პერიოდისაა. ეგვიპტელები მთიდან ოქროს გამოტანას ათასი წლით გვიან იწყებენ, საქართველოში ოქროს ძველ ეგვიპტელებზე ადრე სამთო წესით მოიპოვებდნენ. ამიტომ ოქროს მაძიებლების სიხარბეს საყდრისის ცივილიზაციის აფეთქება არ უნდა მოჰყვეს.

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ გურამ ოდიშარიას.**

**„ბატონო გურამ, ვინაიდან ქართველ საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოიწვია საყდრისის ოქროს მაღაროს ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა და ამ ჭრილში თქვენთვის გამოგზავნილმა ჩემმა წერილმა, აუცილებლად მივიჩნევთ ჩვენი პოზიციის ცალსახად დაფიქსირებას, საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს შესახებ. მას შემდეგ, რაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის სიტყვიერი მომართვის საფუძველზე მეცნიერებათა აკადემია საყდრისის საკითხში ჩაერთო, გულდასმით გავეცანი უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერთა მიმართვებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისადმი. შეგახსენებთ, რომ ამ მიმართვებში ისინი ხაზს უსვამენ საყდრისის მაღაროს მნიშვნელობას, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის და შეშფოთებას გამოთქვამენ იმ საფრთხის გამო, რომელიც ძეგლს შეექმნა.**

**საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად რვა წლის განმავლობაში საყდრისში კვლევებს ატარებდა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მსოფლიოში წამყვან არქეოლოგიურ დაწესებულებას წარმოადგენს და რომლის კომპეტენცია და ავტორიტეტი მსოფლიოში ეჭვქვეშ არსად, არასდროს დამდგარა**

**რვა წლის განმავლობაში ამ უაღრესად ავტორიტეტული კვლევების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ეჭვქვეშ დაყენება, მეტიც, გერმანელი მეცნიერების არაკეთილსინდისიერებაში დადანაშაულება, არაეთიკურ საქციელად მიგვაჩნია.**

**მივესალმებით გერმანული მხარის კეთილ ნებას, საყდრისში არქეოლოგიური კვლევების გაგრძელების შესახებ და ასევე, მის ინიციატივას, საყდრისის საკითხთან დაკავშირებით დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. თუმცა, მიგვაჩნია რომ საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო. აქვე ვადასტურებთ ჩვენს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში ჩავერთოთ საერთაშორისო ექსპერტიზის მუშაობის პროცესში.**

**ვსარგებლობ შემთხვევით და წუხილს გამოვთქვამ იმის გამო, რომ საყდრისთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის მუშაობაში მეცნიერებათა აკადემია ჩართული არ ყოფილა. ამ ხარვეზის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მოგვიანებით მიუთითა და 26 სექტემბერს კანონის შესაბამისად საკითხის შესწავლაში მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჩართვა მოითხოვა. საკითხის გადაწყვეტა დროში შეზღუდული გახლდათ. არსებული რეალობიდან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრმა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას არქეოლოგიური კვლევების ზედამხედველობა დაავალა. არქეოლოგიური კვლევისთვის გამოყოფილი ორთვიანი პერიოდი, სრულფასოვანი სამეცნიერო დასკვნის დადების საშუალებას არ იძლევა.**

**მეცნიერებათა აკადემია რეალისტურად აფასებს იმ უზარმაზარ სხვაობას სამეცნიერო კომპეტენციაში, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტსა და, მეორე მხრივ, თქვენი — კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ შექმნილ 11-კაციან კომისიას შორის.**

**მიგვაჩნია, რომ შედეგი გერმანელ მეცნიერთა სასარგებლო იქნება, რამაც არ შეიძლება არ აღძრას უხერხულობის განცდა იმ მორალური ზიანის გამო, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო პრესტიჟს მიადგება. ვიმედოვნებთ, რომ ქართული მხარე საკითხს საქართველოშივე გადავწყვეტთ და ეს საქმე ქვეყნის გარეთ განხილვის საგანი არ გახდება“, — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე.**

ეს წერილი ფაქტობრივად მზად იყო, როცა რედაქციაში ჩემი მეგობარი (ხაზს ვუსვამ — მეგობარი) ნინო მიქიაშვილი მოვიდა და ერთი დოკუმენტი გაგვაცნო:

**„ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ დაინტერესდეთ საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს ბედით. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ მხარეს გვთავაზობს საერთაშორისო კომისიის შექმნას. ჩვენი კულტურის სამინისტრო თავის მთავარ ფუნქციას არ ასრულებს. ძეგლის დაცვის ნაცვლად კერძო კომპანიის ინტერესს იცავს. გთხოვთ, დაინტერესდეთ“** — პატივისცემით ნინო მიქიაშვილი.

პრეზიდენტთან 15 მარტს გაგზავნილ ამ SMS-ზე, რომელიც ბატონ მარგველაშვილს ნამდვილად მიუვიდა, პასუხი ჯერ არ ჩანს.

ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი ბოლომდე გააგრძელებს ბრძოლას საყდრის-ყაჩაღიანის კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად!..

**გია გაბრიჭიძე**

◉ ზუგდიდი

# სკოლებში „არანაციონალურად“ მოაზროვნე პედაგოგებს არ აჩერებდნენ

**ნაციონალური ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ზუგდიდში მთლიანად პოლიტიზირებული საგანმანათლებლო სისტემა იყო. ზუგდიდის ყველა საჯარო სკოლას (51 საჯარო სკოლა) სათავეში ე.წ. მამალი ნაციონალი ედგა სათავეში, მათი უმრავლესობა ახლაც რჩება სკოლების დირექტორებად. ისინი სამარშრუტო ტაქსებით „ნაცების“ ნებისმიერ შეხვედრებზე დადიოდნენ. დირექტორები, რომლებიც ახალაიებისა და ქარდავების მზეს ფიცულობდნენ, სკოლებში არ აჩერებდნენ პედაგოგებს, რომლებიც „არანაციონალურად“ აზროვნებდნენ. სამწუხაროდ, ეს უკანონოდ გათავისუფლებული პედაგოგები დღესაც ეძებენ სამართალს.**

ასეთ სიტუაციაში ამ სამიოდე თვის წინათ, ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორად, შესაბამისი კონკურსის გავლის შემდეგ დაინიშნა გამოცდილი სპეციალისტი გონერი პაპავა, რომელიც, ამავე დროს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (თავმჯდომარე — გია ჟორჟოლიანი) სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეცაა. ამჟამად ზუგდიდის სკოლებში ე.წ რესტრუქტურიზაციის პროცესი მიმდინარეობს, რადგან სკოლის დირექტორებს არასწორად მიჰყავდათ საგანმანათლებლო საქმიანობა. „დირექტორთა სერტიფიცირების პირველი ეტაპი დამთავრდა. მონაწილეობდა 57 კონკურსანტი, დადებითი შედეგი მიიღო 24-მა პიროვნებამ. სერტიფიცირებულ კონკურსანტებს სამეურვეო საბჭო აირჩევს. თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ ეტაპზე განახორციელებს სკოლების დირექტორების არჩევით პროცესს სამეურვეო საბჭოების მეშვეობით, მაშინ სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი ახალი დირექტორების გარეშე დარჩება“, — აცხადებს გონერი პაპავა. მისი თქმით, იმ სკოლებში, სადაც ამჟამად არასერტიფიცირებული დირექტორები არიან, შესაძლებელია მათ ადგილებზე სხვა პიროვნებები დაინიშნონ, როგორც დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელნი. „ჩემი აზრით, დირექტორები იმის მიხედვით უნდა დარჩნენ თანამდებობებზე, თუ რამდენად მოახერხეს მათ „ნაცმოძრაობის“ ძალისხმევით უკანონოდ განთავისუფლებული პედაგოგების აღდგენა-დაბრუნება სკოლებში. თუ რომელიმე დირექტორმა ორი უკანონოდ გაშვებული პედაგოგი მაინც დააბრუნა სკოლაში ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. თუმცა, ასევე სკოლის დირექტორმა აუცილებლად უნდა დაწეროს სკოლის განვითარების პროგრამა, თუმცა, ამის შესახებ დიდ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს“, — განაცხადა გონერი პაპავამ.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

**P. S. გავრცელებული ვერსიით, გონერი პაპავას კანდიდატურა კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ მოიაზრება ქალაქ ზუგდიდის მერობის ან ზუგდიდის რაიონის გამგებლის თანამდებობებზე.**

**ლ. ქ.**

# ლომი – გვარად მელია

**როდესაც შენი ცხოვრება ათწლეულებით დაიხუნძლება, უფრო ცხადი ხდება განვლილი გზის მნიშვნელობა თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. ნაბიჯ-ნაბიჯ გახსენდება ყველა ეტაპი, რომელიც ბავშვობიდან დღევანდელობამდე გაიარე...**

**„მე ვიზრდებოდი ოჯახში, რომელიც სინდისიერებას განასახიერებდა, რაც კარგია ჩემში, უთუოდ გარემოს, მშობელთა და უფროსი ძმის გავლენის წყალობაა", – იგონებს რომან მელია, რომელსაც 19 მარტს 70 წელი შეუსრულდა.**

**მიზანსწრაფვა და კომუნიკაბელურობა, რითაც იცნობენ რომან მელიას გარშემომყოფნი, უდავოდ ოჯახსა და გარემოში იღებს სათავეს.**


რომან მელია მის უწმინდესობასა და უნეტარესობასთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან ერთად

1961 წელს, IV საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მან ფოთის გემთმშენებელ ქარხანაში ზეინკლად დაიწყო მუშაობა, პარალელურად ემზადებოდა და 1962 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, უსახსრობის გამო, დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე გადავიდა. თან მუშად მუშაობდა თბილისის პურის №2, ლუდის №3, შამპანური ღვინოების ქარხნებში. ამ პერიოდში გამოიკვეთა მისი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზების შესანიშნავი უნარი და მეხუთე კურსის სტუდენტი დაინიშნა „სამტრესტის" შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის განყოფილების უფროს ინჟინრად, სამ თვეში კი დააწინაურეს განყოფილების უფროსის მოადგილედ. არც აქ დარჩენილა შეუმჩნეველი კვების ტექნოლოგიების გაუმჯობესების საკითხში მისი უნარი, რის გამოც გადაიყვანეს კვების მრეწველობის კვლევითი ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროს კონსტრუქტორად, სადაც მისი რაციონალიზატორული წინადადებითა და ხელმძღვანელობით გაუმჯობესდა კვების მრეწველობის არაერთი მანქანის მუშაობის პრინციპი. ამის შემდეგ მუშაობა განაგრძო საკავშირო კვების მრეწველობის გამშვებ-გამმართავ სამმართველოში ჯერ უფროს ინჟინრად – საქმის მწარმოებლად, შემდეგ კი – ყოფილ საბჭოთა კავშირში კვების მრეწველობის არაერთი მშენებარე ობიექტის კომპლექსის უფროსად როგორც საქართველოში, ისე ყოფილი საბჭოეთის სხვადასხვა ქალაქში. ამ პერიოდში მისი გამოცდილება და ცოდნა შენიშნა საქართველოს კვების მრეწველობის იმდროინდელმა მინისტრმა რევაზ კონცელიძემ. მისი ინიციატივით რომან მელია დაინიშნა კვების მრეწველობის სამინისტროს მთავარი მექანიკოსის, ენერგეტიკოსისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის მოადგილედ. რომან მელია მაშინ 29 წლისა იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ იგი გადაიყვანეს „საქპურტრესტის" განყოფილების უფროსად. აქ მან, როგორც ფოთელმა, დაგეგმა მშობლიურ ქალაქში ახალი ქარხნის მშენებლობა და მოახერხა მისთვის საკავშირო სამინისტროში პურ-ფუნთუშეულის ცხობისთვის საუკეთესო ავტომატიზებული დანადგარების გამოყოფა.

გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც აღნიშნული დანადგარები მიეწოდა ფოთს, დადგა ახალი ქარხნის მშენებლობის საკითხი, რომელიც სწორედ ამ თანამედროვე ტექნოლოგიებს უნდა მისადაგებოდა. მშენებლობის ხელმძღვანელის შერჩევისას უშუალოდ მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ რომან მელია 2 წლით ფოთში გაეგზავნა. 1977 წლის იანვარში იგი დაინიშნა კიდეც ფოთის პურკომბინატის დირექტორად.

იმ დროს ეს საწარმო უმძიმეს მდგომარეობაში იყო: სრულიად ამორტიზებული შენობა-ნაგებობები და საწარმოო ხაზები, მოშლილი ელექტრომომარაგების სისტემა, საწარმოო პროცესის ხშირი წყვეტა, უხარისხო პროდუქცია და ქალაქში პურის ნაკლებობა...

სამი წლის შემდეგ ქალაქმა მიიღო თანამედროვე საწარმოს არქიტექტურულად სრულყოფილი ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსი, უახლესი საწარმოო ხაზები, ასევე აბსოლუტურად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და უმაღლესი ხარისხის ფართო ასორტიმენტის პროდუქცია...

1984 წელს ფოთი ექსპერიმენტულ ქალაქად გამოცხადდა. ექსპერიმენტის ძირითადი არსი ის იყო, რომ ქალაქის ზემოგება ფოთის განვითარებას მოხმარებოდა. იმდროინდელმა ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დამატებითი სახსრების საშუალებით ფოთში, ახლანდელი ლარნაკას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩაის კონცენტრატების ქარხნის მშენებლობა. იმ დროისთვის ეს ადგილი მხოლოდ დაჭაობებული მინდორი იყო.

თბილისში გადაყვანის ნაცვლად რომან მელიას ნიშნავენ კონცენტრატების ექსპერიმენტული ქარხნის (შემდგომში ჩაის კომბინატი) დირექტორად. იმ დროისთვის ტრიალ მინდორზე ორი ვაგონილა იდგა, რეალობა თითქოს ბუნდოვანი იყო, მიზანი კი არარეალური. და სწორედ აქ ნამდვილად გამოჩნდა რომან მელიას შესანატრი ხედვა და მიზანსწრაფვა – უმოკლეს ვადაში დაჭაობებული ადგილი ქალაქის ერთ-ერთ სამრეწველო უბნად იქცა.

**– ეს კომბინატი ვერ აშენდებოდა, რომ არა იმდროინდელი ქალაქკომის პირველი მდივნის ბაკურ გულუასა და აღმასკომის თავმჯდომარის გერონტი კუხალეიშვილის უშუალო მონაწილეობა, მხარდაჭერა და თანადგომაო,** – ამბობს რომან მელია პირად საუბრებში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნული კომბინატი 100 მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას უშვებდა და ქალაქის წამყვან საწარმოდ გადაიქცა. მასში დასაქმებული იყო 400-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, რომელთაც საუკეთესო შრომითი პირობები ჰქონდათ შექმნილი. მან შეიმუშავა და დანერგა ახალგაზრდა დედების წახალისების სისტემა, რისკენაც მიმართული იყო საწარმოს ზეგეგმიური მოგება. ფოთელებს, ალბათ, ახსოვთ კომბინატში წარმოების კულტურის როგორი მაღალი დონე და საუცხოო საყოფაცხოვრებო პირობები იყო...

როგორც ყოფილ სპორტსმენს, რომან მელიას გაუჩნდა იდეა, მალთაყვის დაჭაობებულ ადგილას ჩაის კომბინატის თანამშრომლებისთვის აშენებულიყო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. **მან საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ხელმძღვანელთან გურამ დოლბაიასთან ერთად 1988 წელს დაიწყო ამ იდეის განხორციელება.** მისი ინიციატივით ბაზის მშენებლობაში ჩართული იყო არა მარტო ქალაქისა და საქართველოს ხელმძღვანელობა, არამედ საკავშირო მინისტრთა საბჭო, სპორტკომიტეტი და საბჭოთა კავშირის წყალსათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი ვიქტორ აფანასიევი (გაზ. „პრავდის" მთავარი რედაქტორი). მშენებლობა წყალსათხილამურო საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით მიმდინარეობდა. 1991 წელს მალთაყვის საუკუნოვანი ჭაობის ადგილზე ხელოვნური წყალსატევი, მის ნაპირებზე კი სასტუმრო, სასპორტო დარბაზი, აუზი და სრული ინფრასტრუქტურა გაჩნდა.

**1991 წლის აგვისტოში კი იქ ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. საქართველოში მანამდე ამ რანგის ჩემპიონატი სპორტის არც ერთ სახეობაში არ გამართულა. თუმცა, ამ ჩემპიონატს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა – ეს იყო პირველი საერთაშორისო შეჯიბრება დამოუკიდებელ საქართველოში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაესწრო, რომლის გამოსვლასაც ჩემპიონატის გახსნისას პირდაპირი ეთერით გადასცემდნენ მსოფლიოს ისეთი წამყვანი ტელევიზიები, როგორებიცაა: CNN; BBC, Euronews და სხვები.** ამიტომაც ამ ჩემპიონატს არა მარტო სპორტული, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა ახალბედა დამოუკიდებელი ქვეყნისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ მრავალი ქვეყანა არ სცნობდა და არ იცნობდა...

რომან მელიას ამბიცია იყო არა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ჩატარება, არამედ ფოთში ინვესტიციების მოზიდვა, რაც ქალაქის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ფაქტორი გახლდათ. და მან, როგორც სხვა შემთხვევებში, ახლაც თითქმის შეუძლებელი შეძლო: კაპიტალურად შეკეთდა შენობა-ნაგებობები და ყველა ძირითადი ქუჩა, ქალაქის შემოსასვლელში დამონტაჟდა სატელევიზიო ანძა; მოწესრიგდა წყალმომარაგებისა და ელექტროსისტემები, სანიაღვრე კანალიზაცია და შესრულდა ქალაქისათვის აუცილებელი სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

იმავე წლებში მისი ინიციატივითა და ძალისხმევით, ფაქტობრივად, ხელახლა აიგო წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

ამ პერიოდს რომან მელია ასე იხსენებს: **„ცხოვრებაში არის მომენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის შემდგომი მოღვაწეობის გზას. პროფილის მიხედვით, როგორც ინჟინერი, მე მთელი ცხოვრების მანძილზე ვმუშაობდი, წარმატებულადაც, მაგრამ ეს მაინც არ მეჩვენებოდა საკმარისად. აღმოჩნდა, რომ თუმცა, ბევრი სოლიდური პროექტი განვახორციელე, ისინი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდნენ და ზოგადად ქალაქის იერ-სახე დიდად არ შეუცვლია. ვგრძნობდი, რომ საჭირო იყო ქალაქის განვითარების კონცეფციის შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემდა, მოგვეწესრიგებინა ფოთის ინფრასტრუქტურა, სახით ზღვისკენ შემოგვებრუნებინა ქალაქი, ამას კი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა სჭირდებოდა, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება იცვლებოდა და მეც ვიფიქრე, რომ ქალაქს მეტ სარგებელს მოვუტანდი, თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზს ავირჩევდი სამომავლოდ. ქალაქში 15-წლიანმა საქმიანობამ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და ავტორიტეტი შემძინა."**

ეს დადასტურდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით. ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სწორედ მას მისცა ხმა და იგი პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

1992 წელი უმძიმესი იყო საქართველოსთვის. სამოქალაქო ომი და კრიმინალური ჯგუფების თარეში აჩანაგებდა ქვეყანას. ეს პროცესები ფოთსაც შეეხო, საფრთხე ექმნებოდა ნავსადგურს – საქართველოს სასიცოცხლო არტერიის უმნიშვნელოვანეს საკვანძო პუნქტს. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ რომან მელია ქ. ფოთის მერად დანიშნა. ეს მოხდა 1993 წლის თებერვალში. სულ მოკლე პერიოდში მოწესრიგდა პურით ვაჭრობა, ნავსადგურისა და ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგება, შეიქმნა მუნიციპალური პოლიცია და ორი სწრაფი რეაგირების ჯგუფი, საგრძნობლად გაუმჯობესდა კრიმინოგენური ვითარება.

**აფხაზეთში განვითარებული მოვლენების დროს მელიამ ჩამოაყალიბა ფოთელ მებრძოლთა ბატალიონი, რომელსაც სათავეში თვითონ ჩაუდგა და თავის შვილთან ერთად საქართველოს ერთიანობის შესანარჩუნებლად იბრძოდა აფხაზეთში (მერკულა, ცაგერა, ლაბრა, ტამიში, ოჩამჩირე, ტყვარჩელი).**

**მერის თანამდებობაზე რომან მელია გამოჩნდა როგორც შინაგანად თავისუფალი და ღია პიროვნება. იგი სამოქალაქო დაპირისპირების დროს არათუ ვინმეს დევნიდა, არამედ ბარიკადების ორივე მხარეს მდგარ ფოთელებს მოუწოდებდა და არწმუნებდა, რომ დამთავრდება სამოქალაქო დაპირისპირება და ამ ქალაქში ჩვენ და ჩვენმა შვილებმა უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება არა როგორც მტრებმა, არამედ როგორც მოყვრებმა. ამიტომ დღეს არ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ხვალ ცუდად მოგვიბრუნდებაო.**

მერის თანამდებობაზე რომან მელია დროს არ ჰკარგავდა. მას კარგად ესმოდა, რომ მოძალებული პრობლემების გადაწყვეტას ფულადი სახსრები სჭირდებოდა. ამიტომ მან თავიდანვე იზრუნა და მერია, დებულებით, ფართო უფლებებით აღიჭურვა. კერძოდ, მერიას ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ფონდის შექმნისა და კომერციული საქმიანობის უფლება მიეცა, ყველა საწარმო ანგარიშვალდებული ხდებოდა მერიის წინაშე. რომანი ამ პერიოდს ასე იხსენებს: **„საბიუჯეტო თანხები ხელფასებს არ ჰყოფნიდა. უსახსრობის გამო საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანაც ვერ ხერხდებოდა, რაიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. უნდა დავხმარებოდით აფხაზეთში ჩვენს მებრძოლებს, შეჭირვებულებს, პოლიციას, სკოლებსა და ბაღებს, სამედიცინო დაწესებულებებს, რისთვისაც შევქმენით ნიკო ნიკოლაძის სახელობის ფონდი".** აქ აკუმულირებული თანხები ხმარდებოდა შეჭირვებულთა დასახმარებლად გახსნილი სასადილოს დაფინანსებას; ასევე აღირიცხა ყველა შეჭირვებული და თვეში ორჯერ უგზავნიდნენ დახმარებას პროდუქტებით; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი პროდუქტი. მას რომან მელია, მართლაც რომ, სიმწრით შოულობდა სხვადასხვა კომერციული საშუალებითა და პირადი კონტაქტებით. თუმცა, იმ დროსაც მოიძებნებოდნენ ადამიანები, ვინც მოსახლეობაში ჭორებსა და ცილისწამებებს დაუღალავად ავრცელებდნენ – მერი ვალდებულია, რომ ეს გაგიკეთოთ, თქვენ მეტი გეკუთვნით, მაგრამ რომან მელია მხოლოდ ნახევარს გაძლევთ და დანარჩენს თვითონ იტოვებსო.

ბევრი ადამიანი რომან მელიას ადგილზე გაცხარდებოდა, შეწყვეტდა ამ პროგრამას და ასე დაანახვებდა ხალხს სიმართლეს, მაგრამ პროგრამა არ შეწყვეტილა და სანამ შეეძლო, რომან მელია აკეთებდა იმას, რაც მნიშვნელოვანი იყო იმ ურთულესი პერიოდის გადასატანად. ფოთის მოსახლეობა შემდეგ კი დარწმუნდა მის უანგარობაში, რადგან რ. მელიას გადადგომის მერე ეს პროგრამა შეწყდა.

ნიკოლაძისეული „საფუთე გადასახადის“ ანალოგიით, ნავსადგური აფინანსებდა მსხვილ პროექტებს. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო ფოთის მოსწავლე ახალგაზრდობის გაცვლითს სასწავლო პროგრამებში ჩართვა. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს აუცილებელი და უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი ვერ განხორციელდებოდა, რომ არა ნავსადგურის იმდროინდელი უფროსის ვალერი გეგიძის ნება, თანადგომა და მხარდაჭერა.**

ამის შედეგად, 1993-94-95 წლებში 160-მდე უფროსკლასელმა გაიარა სწავლება ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის სკოლებში. ეს პროექტი მიზნად ისახავდა უცხო ენის დაუფლებასა და დასავლური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც უნდა გათავისუფლებულიყო კომუნისტური მსოფლმხედველობისა და კოლექტიური ცნობიერებისგან და ალღო აელო ახალი, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ღია ურთიერთობისთვის. ყველა ფოთელმა წარგზავნილმა გაამართლა, ბევრი მათგანი საქართველოში დღესაც წამყვან თანამდებობებზე მუშაობს. ამ პროგრამის თანახმად, შემდეგ ეტაპზე გათვალისწინებული იყო არა მარტო სკოლის მოსწავლეების, არამედ ფოთელი სტუდენტების უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნაც.

ამავე პერიოდში რომან მელიამ განაახლა და გააღრმავა ადრე დაწყებული მეგობრობა ამერიკის დაძმობილებულ ქალაქ ლაგრანჟთან. ამ ურთიერთობით მან შეძლო ლაგრანჟის გარკვეული შეძლებული წრეების დაინტერესება, დახმარებოდნენ ფოთის მოსახლეობას. შემუშავდა გეგმა, რომლითაც ქალაქში, ჰიდროტექნიკუმის შენობაში, უნდა გახსნილიყო ამერიკულ-ქართული კოლეჯი, რის ტექნიკურ აღჭურვილობას ლაგრანჟის კოლეჯის მეპატრონე შემოიტანდა. აქ ისწავლიდნენ როგორც ქართველი, ისე ამერიკელი სტუდენტები. შეირჩა სპეციალობებიც, რომლებიც სწორედ ქალაქის განვითარებას ესაჭიროებოდა. განათლების პროგრამა ითვალისწინებდა ყოველწლიურად ლაგრანჟის კოლეჯში 5 წარჩინებული ფოთელი სტუდენტის უფასო სწავლას (იქ თითო სტუდენტის სწავლა 20 000 დოლარი ღირდა). ამერიკელი სტუდენტები კი, რომლებიც ფოთის კოლეჯში ისწავლიდნენ, 11-11 ათას დოლარს გადაიხდიდნენ. ლექტორები იქნებოდნენ გამოცდილი სპეციალისტები, როგორც ქართველები, ასევე ამერიკელები.

განათლების სფეროს რეფორმა უპირატესი იყო რომან მელიასთვის – ფოთში შემოიღეს სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა, რაც იმდროინდელი განათლების მინისტრის მოადგილის კახა ქორიძის პროექტი იყო. მეოთხე სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა დაწყებითი საფეხურის სკოლა-ლიცეუმი „ბალავარი“. სხვა სკოლები კი განაწილებული იყო მეორე-მესამე საფეხურებად; შეიქმნა ქართულ-რუსული სკოლა; უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პირველად ფოთმა წამოიწყო განათლების რეფორმა.

არანაკლები მნიშვნელობისა გახლდათ ფოთში განხორციელებული ჯანდაცვის პროგრამა – გათვალისწინებული იყო ფოთის სამედიცინო პერსონალისთვის ინგლისურის უფასოდ სწავლების კურსები და მათი გაგზავნა ამერიკის წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველა დარგში. პროგრამა დაიწყო კიდეც – ხუთმა ფოთელმა ექიმმა გაიარა სათანადო კურსები ამერიკაში. საერთოდ კი ეს პროგრამა ითვალისწინებდა, რომ ამა თუ იმ სპეციალობის ექიმი, რომელიც ადგილზე შეისწავლიდა აპარატურას და მასზე მუშაობას, ამერიკა იმ აპარატურას ჩუქნიდა და ფოთში გამოგზავნიდა. მას ადგილზე დაამონტაჟებდნენ იქაური სპეციალისტები, ჩამოჰყვებოდა სამედიცინო პერსონალი, რომლებიც ამერიკაში კვალიფიკაციაგავლილ ექიმებთან ერთად გაუძღვებოდნენ სხვადასხვა დარგს – კარდიოლოგია, თერაპია, გინეკოლოგია, ქირურგია და სხვა. ასევე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოში სამედიცინო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 27 მილიონი დოლარის გრანტი გამოჰყო, საიდანაც, პირადად რომან მელიას ინიციატივით, 2 მილიონი დოლარი ფოთის საავადმყოფოს რეკონსტრუქციისთვის იყო განკუთვნილი.

რომან მელიამ მიაღწია, რომ ქალაქში ჩამოიყვანა ამერიკელი ბიზნესმენები, რომლებსაც ჰქონდათ გადაწყვეტილი ინვესტიციების გამოყოფა ფოთის სხვადასხვა დარგის განვითარებისთვის. სამწუხაროდ, რომან მელია ბიზნესმენების ჩამოსვლამდე 10 დღით ადრე გადააყენეს ქალაქის მერობიდან და ეს პროექტი ჩაიშალა...

რომან მელიას მოწვევით ფოთში მუშაობდნენ თვალსაჩინო ქართველი არქიტექტორები, ეკონომისტები, სამშენებლო საქმის, კულტურისა და განათლების სპეციალისტები. შემუშავდა ქალაქის განვითარების ნიკო ნიკოლაძისეული გენერალური პროექტი... **და ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ სასიკეთო საქმეებისა, რაც ქალაქის მერად მუშაობისას რომან მელიას აქტივს უნდა მიეთვალოს. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი ფაქტი — ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც საქართველოში იყო პერიოდი სამოქალაქო ომის, დაპირისპირების, გაურკვევლობისა და უსახსრობისა.**




ფოთი, 1991 წელი, ფოთში ევროპის ჩემპიონატის გახსნა

რომან მელიას მთავარი მიზანი იყო ნიკო ნიკოლაძის კონცეფციის ძირითადი პრინციპების თანამედროვე გარემოსთან მორგება და ქალაქის ასე განვითარება. ამისათვის მან ფოთში მოიწვია სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ: დავით იაკობიძე, შოთა ყავლაშვილი, იუზა უგულავა, მამუკა ჩხაიძე, დავით ბენიძე, თამაზ ტყემალაძე და სხვები. მათთან ერთად აქტიურად მუშაობდნენ ფოთელი სპეციალისტები: გურამ დოლბაია, ირაკლი მოწერელია, მურმან წაქაძე და სხვები.

რომან მელიას ხელმძღვანელობითა და ამ ჯგუფის მეშვეობით საქართველოში პირველად შემუშავდა „თავისუფალი ზონის“ პრინციპი. იდეა მოიწონა საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ. მაგრამ მას შემდეგ, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ფოთელების მიერ დამუშავებული „თავისუფალი ზონის“ პრინციპი თავის ავტონომიას მოარგო და დასამტკიცებლად წარადგინა, ცენტრალური ხელისუფლება ავტონომიურ რესპუბლიკაში ამგვარი ზონის შექმნის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა. თუმცა, პარალელურად, მან უარი განაცხადა ამ ზონის ფოთში შექმნაზეც. სწორედ ეს ფაქტი გახდა მომავალში რომან მელიასა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი.

ფართო საზოგადოება მხარს უჭერდა და აფასებდა ფოთის ახალ მაჯისცემას, მაგრამ ქალქში საკმაოდ იყვნენ მოშურნენი, რომლებისთვის რომან მელიასა და მისი საქმეების დაკნინება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მის მიერ შემუშავებული პროექტებისა თუ რეფორმების მნიშვნელობის გააზრება და ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვა. ეს ადამიანები მეტწილად ფარულად, შენიღბულად მოქმედებდნენ. სამწუხაროდ, მათ ჰყავდათ მხარდამჭერნი თბილისში, პრეზიდენტის აპარატშიც. მათ საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია და გარკვეული მიზეზების გამო რომან მელია, ფაქტობრივად, ჩამოაშორეს ფოთის მერობას და შესაბამისად, შეჩერდა ზემოჩამოთვლილი პროგრამებიც...

**რომან მელიამ ფოთში მოღვაწეობა უკვე როგორც მეწარმემ, ისე გააგრძელა. იმავდროულად მან, როგორც საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა, მიაღწია იმას, რომ 1998 წელს მალთაყვის სპორტულ კომპლექსში ევროპის ქვეყნების ტურნირი ჩაატარა, რომელშიც 19 ქვეყანა მონაწილეობდა.**

1998 წელს რომან მელია ფოთის საკრებულოს წევრად აირჩიეს. იგი აქტიურად დაუბრუნდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზს და 1999 წლის არჩევნებში კვლავ იყარა კენჭი პარლამენტის დეპუტატად. ფოთელებს ახსოვთ, თუ როგორ ტოტალურად გაუყალბეს მას არჩევნები, რაც მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომაც დაადასტურა, მაგრამ სამართლიანობა არ აღდგენილა...

ყველაფრის მიუხედავად, იგი აგრძელებს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. მისი ინიციატივით შეიქმნა სამეგრელოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც სათავეში თავად ჩაუდგა. თანამებრძოლების – **როსტევან გვარამიას, გუგი ცანავას, ვალერი იზორიას, დარეჯან ცხვიტარიას, მარინა წულეისკირის, ემზარ კუპრაძის, ზურაბ ჯამბურიას, თეზო ხომერიკის, მერაბ სიმონიას, ავთო ესაკიასა და სხვების** – მხარდაჭერითა და თანადგომით ატარებს საპროტესტო აქციებს ფოთსა და სამეგრელოს სხვა ქალაქებში. ამავე დროს, ენერგიულად ერთვება საქველმოქმედო საქმიანობაში და ხელმძღვანელობს ჯუმათის მამათა მონასტრის რეკონსტრუქციის საქმეს.

2002 წელს მას ისევ ირჩევენ ფოთის საკრებულოს წევრად, ხოლო 2005 წელს – საქართველოს პარლამენტის წევრად. მას 23 ათასი ამომრჩევლიდან 17 ათასმა მისცა ხმა.

პარლამენტში ის ჯერ კიდევ მერობისას მის მიერ შემუშავებული ქალაქის განვითარების გეგმის განხორციელებისთვის იწყებს აქტიურ საქმიანობას. პრინციპულად სვამს ფოთის ნიკო ნიკოლაძისეული კონცეფციით განვითარების საკითხს, რაც ძირითადში ნიშნავდა ფოთის ფედერალურ ქალაქად გამოცხადებას და ყველა სტრუქტურის პირდაპირ ქვეყნის ცენტრალურ სტრუქტურასთან დაქვემდებარებას. ამავდროულად, ითხოვდა ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღებას.

თავდაპირველად ქალაქის განვითარების ეს პრინციპი ქვეყნის პირველმა პირებმა მოიწონეს, მაგრამ გარკვეული პიროვნებებისა თუ ჯგუფების მერკანტილურმა ინტერესებმა შეცვალა ქალაქის განვითარების ძირითადი არსი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამაში ჩვენი ქალაქის წარმომადგენლების ხელიც ერია. მათ ცილისწამებითა და ბინძური ჭორებით აღსავსე წერილი გაუგზავნეს საქართველოს პარლამენტის იმდროინდელ თავმჯდომარეს. შედეგმაც არ დააყოვნა. ხელისუფლების გარკვეულმა ჯგუფებმა თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრინციპი დატოვეს, შეცვალეს დასახელება და ის არა ქალაქს, არამედ თავიანთ ინტერესებს მოარგეს და ისე ჩამოაყალიბეს. რომან მელია დღესაც იბრძვის, რომ დანარჩენი ქალაქის ტერიტორია გამოცხადდეს ტექნოპოლისად, სადაც პრეროგატივა მიეცემა შემდეგ დარგებს: გემთმშენებლობას, ნავსადგურის აღჭურვილობის საწარმოების მშენებლობას, მეთევზეობისა და ტურიზმის განვითარებას. უბრალო ენით რომ ვთქვათ, ვინც ფოთის ტერიტორიაზე ამ დარგებში ჩადებს ინვესტიციებს, 10 წლის განმავლობაში უნდა განთავისუფლდნენ ყველანაირი გადასახადიდან, გარდა საშემოსავლოსი.

2008 წელს მისი სადეპუტატო უფლებამოსილება დასრულდა. წინა ხელისუფლებამ ის უმუშევრად დატოვა. მიუხედავად ამისა, თავად ჩვეული ენერგიით ჩაება ბიზნესის წარმოებაში. იგი შპს „არგოს“ დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახდა.

რომან მელიას ცხოვრების გზა შეიძლება ასეთი მრავალფეროვანი და შინაარსიანი არ ყოფილიყო, რომ არა მისი არაჩვეულებრივი მეუღლე – *გულიკო იოსავა*, პროფესიით ექიმი-ნეონატოლოგი, რომელიც ყველა პირობას უქმნიდა მეუღლეს საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. მათ ორი შვილი ჰყავთ – *თამუნა* და *ირაკლი*. თამუნა სატრანსპოტრო კომპანია „არკასი საქართველოს“ მარკეტინგის მთავარი მენეჯერია; ირაკლი, პროფესიით იურისტი, მეწარმეა. რძალი – ეკა ჩხეიძე, პროფესიით იურისტი, ასევე მეწარმეა. რომანს სამი შვილიშვილი ჰყავს: *რატი მელია*, რომელიც სწავლობდა იტალიაში, ქ. ფლორენციაში, Florence Design Academy-ში, ინტერიერის დიზაინის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში; *ნიკოლოზ მელია* ევროპული სკოლის მესამე კლასის მოსწავლეა; *მარიამ მელია* კი ოთხი წლისაა.

**„თითქმის სამი ათეული წელი ვიმუშავე დამოუკიდებელ ხელმძღვანელ, სამეურნეო, თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თანამდებობებზე ჩემს მშობლიურ ქალაქ ფოთში, რომელიც ყოველთვის მიზიდავდა თავისი პერსპექტივებით. მე არ ვემდური იღბალს, რომ მომეცა საშუალება აქ მომეხდინა ჩემი მორალური თუ ფიზიკური შესაძლებლობების რეალიზება. აქ გავატარე ჩემი ყველაზე უფრო მძიმე და შინაარსიანი ცხოვრების წლები. შევეცადე, ენერგიის დაუზოგავად მეკეთებინა მხოლოდ კეთილი საქმეები, განმემუხტა, არ დამეშვა დაპირისპირება ადამიანებს შორის, რადგან მიმაჩნია, რომ ერთი შეხედვით თითქოს უბრალო დაპირისპირებიდან იწყება დიდი უბედურება, მაგრამ სწორედ თანამდებობებზე ყოფნის პერიოდში წავაწყდი ბევრ წინააღმდეგობას, დაუმსახურებელ, უსამართლო დამოკიდებულებას ჩემდამი, მაგრამ არასდროს მიწუწუნია, უკანაც არ დამიხევია და არც ქედი მომიხრია არაფრის წინაშე. ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს... თუმცა, გული მაინც მტკივა, რადგან მოვლენების სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში ფოთისათვის მეტის გაკეთება შევძლებდი“,** — ამბობს რომან მელია.

**ჩვენ კი გვგონია, რომ ბატონ რომანს გულნაკლულობის არავითარი საფუძველი არა აქვს.**

**ლომი ხარ, ძმაო, გვარად მელია, სამოცდაათი განა ბევრია! სიჭარმაგეა, არაფერია!**

**ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მას ცხოვრებასა და საქმიანობაში.**

**მეგობრები**



აფხაზეთი, მერკულა, 1993 წლის მარტი.

### რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი ყირიმის „რუსული ანექსიის" წინააღმდეგია

## სოხუმი და ცხინვალი მიესალმებიან „ნახევარკუნძულის მრავალეროვნული ხალხის ნებას"

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 16 მარტს ყირიმში გამართულ რეფერენდუმს უკანონოდ მიიჩნევს. განცხადებაში, რომელიც 17 მარტს გავრცელდა, მარგველაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმდენად, რამდენადაც უკრაინის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ამგვარი რეფერენდუმების გამართვის შესაძლებლობას, მას არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული შედეგები. უფრო მეტიც, აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საუბარი თავისუფალ არჩევანსა და ხალხის ნების გამოვლინებაზე იქ, სადაც ვითარებას უცხოური სახელმწიფოს, კერძოდ რუსეთის, შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ".**

**„საქართველომ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ასეთი მოქმედებები. რუსეთის ფედერაცია სწორედ ასეთი „რეფერენდუმებითა" და „არჩევნებით" ახორციელებს საოკუპაციო მართვას საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში",** – ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში.

საქართველოს საგარეოპოლიტიკურ უწყებაში ყირიმის რეფერენდუმს აფასებენ, როგორც „რუსეთის მცდელობას მოახდინოს ყირიმის ანექსია", რაც, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა სიტყვებით, „არის ვალდებულებათა უხეში დარღვევა" როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ ურთიერთობებში უკრაინასთან.




**„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო გაერთიანებას გააერთიანოს ძალისხმევა, რათა აიძულოს რუსეთის ფედერაცია გამოიყვანოს თავისი ჯარები ყირიმიდან, მიაღწიოს ყირიმში, აგრეთვე უკრაინის სხვა რეგიონებშიც სიტუაციის დეესკალაციას, რათა დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის ხელისუფლებას შორის და რუსეთმა დაიწყოს თანამშრომლობა საერთაშორისო გაერთიანებასთან არსებული სიტუაციის მოწესრიგების საქმეში",** – აღნიშნულია საქართველოს საგარეოპოლიტიკური უწყების განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს ყირიმის სცენარის გამეორებას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, რომლებიც „შეიძლება შეუერთონ" რუსეთს ისევე, როგორც ყირიმი. ფანჯიკიძემ ასევე განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მიიღებს შესაბამის წინადადებას, იგი მზადაა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო მისიებში ყირიმში „სტაბილურობის დამკვიდრებისთვის ხელშეწყობის" მიზნით.

### „საბედისწერო არჩევანი"

**ამავე დროს, საქართველოს გამოყოფილ რეგიონებში, რომლებსაც სეპარატისტები აკონტროლებენ, ყირიმის რეფერენდუმს მხარი დაუჭირეს. აფხაზეთის ლიდერის ალექსანდრ ანქვაბის სიტყვებით, სოხუმი „პატივს სცემს ყირიმელთა ნებას, მხარს უჭერს და აღიარებს მათ საბედისწერო არჩევანს".**

**„ყირიმში გამართული პლებისციტი ასახავს ნახევარკუნძულის მრავალეროვნული ხალხის ნებას. ეს საყოველთაო-სახალხო არჩევანი ემყარება არა მხოლოდ ისტორიულ წარსულს, არამედ თანამედროვე პოლიტიკურ რეალიებსაც. და ეს არის იმის კლასიკური მაგალითი, როდესაც ხალხის ნება ყველაფერზე მაღლაა",** – თქვა ანქვაბმა 16 მარტს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის გაკეთებულ კომენტარებში.

ყირიმის რეფერენდუმს ანალოგიური შეფასება მისცეს ცხინვალშიც. **„ყირიმის მცხოვრებთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება არა მხოლოდ ასახავს ყირიმელთა ისტორიულ გამოცდილებასა და მისწრაფებებს, არამედ ემყარება დემოკრატიისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსაც",** – განაცხადა 17 მარტს სამხრეთი ოსეთის ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა.

### „ორი აქცია"

**ყირიმის რეფერენდუმის მომხრეები თბილისის მცხოვრებთა შორისაც აღმოჩნდნენ. 16 მარტს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია „ევრაზიული არჩევანი – საქართველო" აპირებდა მოეწყო აქცია ყირიმის რუსეთთან შეერთების მხარდასაჭერად, მაგრამ მეორე აქციის მონაწილეები აპირებდნენ მოეწყოთ აქცია უკრაინის ერთიანობის მხარდასაჭერად. ეს აქცია ჩაიშალა. ორი აქციის მონაწილეთა შორის შეტაკების შედეგად პოლიციამ რამდენიმე კაცი დააკავა.**

ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებმა, რომლებიც შეუერთდნენ აქციას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად, აქციას რუსეთთან ყირიმის მიერთების მხარდასაჭერად „სამარცხვინო" უწოდეს და ბრალი დასდეს საქართველოს ამჟამინდელ მთავრობას ქვეყანაში პრორუსული ძალების აქტივიზაციისთვის მხარდაჭერაში.

**ამავე დროს, კოალიცია „ევრაზიული არჩევანი – საქართველოს" ლიდერმა არჩილ ჭყოიძემ განაცხადა, რომ მოითხოვს პროკურატურისგან სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.**

### მოწოდება ნატოსადმი

**უკრაინაში მოვლენათა განვითარების მსვლელობის დროს საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელები სულ უფრო აქტიურად მოითხოვენ დასავლელი სტრუქტურებისგან გადადგან „კონკრეტული" ნაბიჯები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარებისთვის. სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილმა 17 მარტს განაცხადა, რომ რუსეთის მიერ „ყირიმის ხელში ჩაგდება" მოწმობს იმის შესახებ, რომ სახეზეა ორი იდეოლოგიის არსებობდა – ერთი, რომელიც ემყარება დემოკრატიულ ღირებულებებს და მეორე – რომელიც ხელმძღვანელობს „შუა საუკუნეების პრინციპებით".** ამიტომ, მიაჩნია პეტრიაშვილს, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა „ყოველგვარი ეჭვის გარეშე უახლოეს პერიოდში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოსთან დაკავშირებით".

**„სულ უფრო ნაკლები სივრცე რჩება ყველა საკითხების შეთანხმებისთვის მოლაპარაკების გზით. როდესაც სახეზეა კონკრეტული სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაცია, საჭიროა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები საქართველოსთან დაკავშირებით, რომელიც ნატოსკენ ისწრაფვის",**– განაცხადა პეტრიაშვილმა 17 მარტს.

### „დროის ახალი გათვლა"

**მსგავსი რიტორიკა გაისმის საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ოპონენტის საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებშიც, რომელიც წლების განმავლობაში აქტიურად აკრიტიკებდა რუსეთის ხელმძღვანელობას.**

ადრე სტატიაში, რომელიც იანვრის ბოლოს ამერიკულ გამოცემა „დი უოლ სტრიტ ჯორნელში" გამოქვეყნდა, სააკაშვილი მოუწოდებდა დასავლეთს მხარი დაეჭირათ უკრაინის ოპოზიციისთვის. სააკაშვილის სიტყვებით, უკრაინის დედაქალაქში ხდება „XXI საუკუნის პირველი გეოპოლიტიკური რევოლუცია", ბრძოლა ორ იდეოლოგიას შორის – დასავლურისა, რომელიც ემყარება დემოკრატიულ პრინციპებს და „პუტინისას", რომელიც თრგუნავს სხვაგვარად აზროვნებას, ამართლებს დიქტატურას და ცდილობს აღადგინოს სსრ კავშირი. 14 მარტს ბრიტანულ „დი გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატიაში სააკაშვილი პარალელს ავლებს ცხინვალის რეგიონში მომხდარ მოვლენებსა და ყირიმს შორის. საქართველოს ექსპრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სტიმული გახდა უკანონო მოქმედებების გაგრძელება, რომლებიც დაიწყო 2008 წელს საქართველოში. ეს არის შედეგი დასავლეთის რეაქციისა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიების რუსული ოკუპაციის შემდეგ, მისი სიტყვებით, არ მოახდინა „შესაბამისი" რეაქცია.

**„უკრაინის მოვლენები არასოდეს მოხდებოდა, მაშინ დასავლეთს რომ მოეხდინა შესაბამისი რეაგირება საქართველოში მომხდარ მოვლენებზე. საქართველოში შემოჭრა იყო პირველი შემთხვევა „ცივი ომის" შემდეგ, როდესაც რუსეთმა განახორციელა მცდელობა, გადასინჯოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები. დასავლეთს არ სურდა, რომ ეს დაეჯერებინა, შემდეგ კი დასავლეთმა ამჯობინა ბრალი ორივე მხარისთვის დაეკისრებინა",** – ამბობს სააკაშვილი.

საქართველოს ექსპრეზიდენტი შეგვახსენებს, რომ მალე რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებმა განაახლეს წინანდელი ურთიერთობანი რუსეთთან და ამან, მისი აზრით, შეუქმნა პუტინს იმის შეგრძნება, რომ „მას გაუმართლებს ამგვარი ავანტიურა" უკრაინაშიც. სწორედ ამიტომ დღეს, როგორც არასოდეს, დიდი მნიშვნელობა აქვს შევაჩეროთ პუტინი, ამტკიცებს მიხეილ სააკაშვილი.

**შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ამჟამად ტაფტსის უნივერსიტეტში ფლეტჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლაში – ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ წამყვან სასწავლო ცენტრში – ასწავლის საერთაშორისო ურთიერთობებს.**

**მას შემდეგ, რაც უკრაინაში დაიწყო მღელვარება, საქართველოს ექსპრეზიდენტი აქტიურად უჭერს მხარს უკრაინაში პროევროპულ ძალებს თავისი გამოსვლებითა და პუბლიკაციებით მოწინავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. იგი ორჯერ იყო უკრაინაში, სადაც, მისი მტკიცების თანახმად, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მას შესთავაზეს დაიკავოს „მაღალი პოსტი", მაგრამ მან ამ წინადადებაზე უარი განაცხადა.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**უკრაინის ხელისუფლებამ უარი უთხრა „რუსულ დიასპორას" თვითგამორკვევის უფლებაზე**

**რეფერენდუმი ყირიმში იყო უკანონო, ვინაიდან რუსები არ არიან ყირიმის ძირეული ხალხი, განაცხადეს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში. უწყებაში ასევე დსთ-ს უწოდეს არაეფექტური ორგანიზაცია და გადაწყვიტეს გამოვიდნენ მისი შემადგენლობიდან. უმჯობესია, ვითანამშრომლოთ ნატოსთან, მიაჩნიათ კიევში.**

* * *

**დნესტრისპირეთს, ყირიმის კვალდაკვალ, სურს შევიდეს რუსეთში – სთხოვს სახელმწიფო დუმას გაითვალისწინოს ასეთი შესაძლებლობა**



**როგორც გაზეთ „ვედომოსტისთვის" გახდა ცნობილი, უღიარებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, შთაგონებულმა სიმფერეპოლის მოქმედებებით რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანების შესახებ, მიმართა სახელმწიფო დუმას თხოვნით გააფართოოს რუსეთის შემადგენლობაში ახალი ტერიტორიების მიღების საფუძვლები. მიმართვას სპიკერ სერგეი ნარიშკინისადმი ხელი მოაწერა დნესტრისპირეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხაილ ბურლამ.**

* * *

**ნატო გადასინჯავს ურთიერთობებს რუსეთთან: რუსეთის ფედერაცია არ მიიღებს მონაწილეობას სირიის ქიმიური იარაღის განადგურების ოპერაციაში**

**„ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ შევაჩეროთ პრაქტიკული თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან. ეს ერთ-ერთი მაგალითია... ხოლო, როდესაც 1 და 2 აპრილს ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდებიან ერთმანეთს, ისინი გადასინჯავენ ყველა ჩვენს კავშირურთიერთობას რუსეთთან", – განაცხადა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა.**

* * *

**გაეროს გენერალური ასამბლეა უკრაინასთან დაკავშირებულ პლენარულ სხდომას 20 მარტს გამართავს**

**სხდომა იმართება გაეროსთან უკრაინის მუდმივი წარმომადგენლის იური სერგეევის ოფიციალური მოთხოვნის თანახმად. კიევი განიხილავს შესაძლებლობას, რომ გენერალური ასამბლეა მიიღებს რეზოლუციას ყირიმში რეფერენდუმის წინააღმდეგ. ასეთ დოკუმენტს გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთმა გასულ კვირას ვეტო დაადო.**



ჭეშმარიტების მაძიებელი

# „იქნებ ციფრებიც ფრინველებს ჰგვანან?!“

**ასეთი შედარება ზოგს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ისე კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლება ციფრები მართლაც ფრინველებს ჰგავდნენ? მით უფრო ისეთი პუბლიცისტისა და ექსპერტის წარმოსახვაში, როგორიც იოსებ (სოსო) არჩვაძე გახლავთ, რომლის ახლახან გამოცემულ წიგნში („როგორ ხალხს იმსახურებს ხელისუფლება?“) ავტორის უამრავ ნაკალმარს შორის წერილი „იქნებ ციფრებიც ფრინველებს ჰგვანან?!“ მართლაც რომ ფრთიანი აზროვნების ნიმუშია.**




წლების მანძილზე სტატისტიკაში ნალვაწ, ციფრებთან „მოჭიდავე“ პროფესიონალს – სოსო არჩვაძეს მიაჩნია, რომ ცალ-ცალკე „უწყინარი“, არაფრით გამორჩეული ორი ციფრი, ერთმანეთთან შედარებისას გაოცების, გაკვირვების „უებარი და ეფექტური“ საშუალებაა. ამიტომ პროფესიონალი სტატისტიკოსები არა მარტო ანგარიშობენ სხვადასხვა მონაცემებს ტრადიციული და კარგად აპრობირებული მეთოდებით, არამედ იციან მათი ისეთნაირად „შეკმაზვა“, რომ ისინი გასროლილი ტყვიის თუ არა, გაფრენილი ჩიტის ეფექტს მაინც მოახდენენ.

ბატონი სოსო რომ ციფრთა და მონაცემთა „კმაზვის“ დიდოსტატია, ამას ყველა დაგიდასტურებთ, ვინც კი ხსენებულ წიგნში ავტორის მიერ ლოგიკურ მძივად ასხმულ პუბლიცისტიკას გაეცნობა. მკითხველი უმალ დარწმუნდება, რომ ამის შემქმნელი არ გახლავთ უბრალოდ **„მშრალი ციფრების“ სპეციალისტი, მის ნაწერებში „ციფრები, როგორც სცენაზე გამოსული მსახიობები, ჩვენს ცხოვრებას თამაშობენ და სოსო არჩვაძე ვირტუოზულად ახერხებს მათ თამაშში სიყალბის „დაჭერას“. სტატისტიკური „დაბოლების“ მექანიზმები მას იმდენად გასაგებად აქვს ახსნილი, რომ მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებული პერსონა თუ შეძლებს, ეს არ დაინახოს. „დახუთული სიცრუე“ – აი, რას ებრძვის ავტორი და ხშირად ცივ გონებასა და მკაცრ ლოგიკასთან ერთად, საოცარი იუმორითაც ამარცხებს მას!“** – შენიშნავს წიგნის წინასიტყვაობაში მისი რედაქტორი, ქვეყნის გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **ნანა დევდარიანი**.

ათასჯერ მართალია ქალბატონი ნანა, როცა ასეთ შეფასებას აძლევს „დახუთულ“ სიყალბესა თუ სიცრუესთან უკომპრომისოდ მებრძოლი ეკონომიკური ექსპერტისა და პუბლიცისტის ნაკალმარს. თავად სინდის-ნამუსით სავსე სპეციალისტი სოსო არჩვაძე ვერც მაშინ „ელაქუცებოდა“ სიცრუის პროპაგანდას, როცა სტატისტიკაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა და ვერც ახლა ეგუება მრუდე სარკეების ტყვეობაში მოქცეულ მონაცემთა „გაჟღერებას“, თუნდაც ამის მსურველი თავად ქვეყნის პრეზიდენტი იყოს. იგი არ მოერიდა, მაგალითად, სიცრუეში ემხილებინა მიხეილ სააკაშვილი, როცა მან განმუხურის „პატრიოტთა“ ბანაკში გამოსვლისას აფხაზეთიდან დევნილთა რაოდენობა 500 ათასამდე გაზარდა. უფრო ადრე, მანვე, ამ რეგიონის მოსახლეობა 700 ათასს გაუტოლა(!).

სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც ოფიციალურ მონაცემებში არასდროს იყურება, სოსო არჩვაძე, სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით, წერს, რომ **„ომის წინ აფხაზეთის მთელი მოსახლეობა მხოლოდ 545 ათასს შეადგენდა. აფხაზეთი დატოვა არა მარტო ქართველმა მოსახლეობამ, არამედ ამ რეგიონის სხვა ეთნიკური ჯგუფების მნიშვნელოვანმა ნაწილმაც. გალში დაბრუნებულთა ჩათვლით დღეს აფხაზეთში არანაკლებ 170-180 ათასი ადამიანი ცხოვრობს (თვითონ სპეციალისტები 320-350 ათასზე საუბრობენ), ანუ აფხაზეთი დატოვა დაახლოებით 370 ათასმა ადამიანმა და არა 500 ათასმა“.**

სიმართლის მოყვარულმა სპეციალისტმა პრეზიდენტს ტყუილი არ აპატია მეორე შემთხვევაშიც (და განა მარტო მეორეში?!). ჭუბერ-სენაკის საავტომობილო გზის გახსნისას წარმოთქმულ ემოციურ სიტყვაში სააკაშვილმა სიამაყით განაცხადა, რომ საქართველო ეკონომიკური ზრდით რუსეთის 2,5-ჯერ უსწრებსო. **„ნეტამც ეგრე იყოს! – ამბობს ბატონი სოსო, – სამწუხაროდ, ეს მონაცემიც საკმაოდ შორსაა ჭეშმარიტებასთან. დსთ-ის სტატკომიტეტის ოფიციალური მონაცემებით, 2007 წელს 2003 წელთან შედარებით, ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა: რუსეთში 32,8 პროცენტი, საქართველოში – 41,5 პროცენტი, სომხეთში – 42,6 პროცენტი, აზერბაიჯანში – 153,1 პროცენტი. სადაა აქ უპირატესი 2,5-ჯერადი ზრდა?!“** – კითხულობს განცვიფრებული არჩვაძე და იქვე დასძენს, რომ რუსეთში საქართველოსთან შედარებით, მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის 3-ჯერ მეტი მთლიანი შიდა პროდუქტი იქმნება, ხოლო საშუალო ხელფასი 2007 წელს 2006 წელთან შედარებით, 150 დოლარით გაიზარდა.

ამ ორი მაგალითიდანაც (ასეთები კი წიგნში უთვალავია) კარგად ჩანს ერთთავად ჭეშმარიტების მაძიებელი სოსო არჩვაძე როგორი პრინციპული და დაუნდობელია სიყალბისა და სიცრუის მქადაგებლებისადმი, თუნდაც ისინი ხელისუფლების მაღალჩინოსანნი იყვნენ. მისი ეს გამორჩეული თვისება ზუსტად მოერგო ქვეყნისათვის იმ რთულსა და საბედისწერო პერიოდს (2001-2013 წ.წ.), როცა კრებულში შესული ანალიტიკურ-პუბლიცისტური სტატიები იწერებოდა და ჟურნალ-გაზეთებში (უმეტესობა „საქართველოს რესპუბლიკაში“) ქვეყნდებოდა. ამ სტატიების დიდი ნაწილი ემთხვევა სწორედ საქართველოში ნაცების მმართველობის პერიოდს, რომელთანაც ავტორს, როგორც თავად აცხადებს, თავიდანვე ჰქონდა შეშფოთების განცდა, რადგანაც ისინი ხელისუფლებაში მოსვლამდე სტოვებდნენ შთაბეჭდილებას, რომ პირადი კეთილდღეობისა და სიცრუის მსახურნი იქნებოდნენ. და რა გასაკვირია, რომ ისეთი რანგის პროფესიონალი, როგორიც სოსო არჩვაძეა, ყოველთვის შეურიგებელი იყო და რჩება დღესაც ყოველგვარი სიყალბისადმი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მაღალი პოლემიკური მუხტის მატარებელ იმ სტატიებში გამოთქმულმა აზრებმა, დასკვნებმა და დებულებებმა დროს გაუძლეს. უფრო მეტიც, ბევრი ის პრობლემა და საფრთხე, რომლებზეც მაშინ საუბრობდა ავტორი, დღესაც თავს გვახსენებს.

ოთარ ხუციშვილი

ერიჰააა!

# შოკისმომგვრელი სიმართლე მაიდნის ლიდერების წარსულზე

მთვრალი ვიტალი კლიჩკო, მოკრივე და მაიდნის ყველაზე ცნობილი გმირი, უკრაინელებს ახალ წელს ულოცავს. როგორ მოვიდა ასეთ წარმატებასთან, ბევრმა არ იცის. ძმები კლიჩკოების კარიერა დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტ **ვიქტორ რიბალკოსთან** (მეტსახელად „რიბკა“) დაიწყო, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი დაჯგუფების ლიდერი იყო 90-იან წლებში. შეკვეთილი მკვლელობებით, ყაჩაღობითა და ძარცვით დაწყებული კარიერა „რიბკას“ დაჯგუფებამ ნავთობისა და საბანკო ბიზნესის კონტროლით გააგრძელა. საქმე იქამდე მივიდა, რომ „რიბკამ“ გადაწყვიტა, შოუ-ბიზნესში ჩართულიყო და ძმები ამერიკაში, პროდიუსერ დონ კინგთან წაიყვანა.



პრესაში იწერებოდა, რომ კლიჩკოები შემოსავლის 50%-ს „რიბკას“ ურიცხავდნენ, თუმცა, 2002 წლიდან ფულის გადახდა შეწყვიტეს და თავისი „მფარველის“ ვალი დაედოთ – 40 მილიონი დოლარი. ავტორიტეტი ეცადა ფული ამოეღო, თუმცა, უშედეგოდ. 2005 წელს „რიბკა“ მოკლეს.

ახალი უკრაინის კიდევ ერთი ცნობილი პოლიტიკოსია „რადიკალური პარტიის“ ლიდერი **ოლეგ ლიაშკო.** მისი რეპუტაციაც ვერ არის სუფთა. 93 წელს სახელმწიფო ქონების ქურდობისთვის დააკავეს, 94-ში კი თაღლითობისთვის 6 წელი მიუსაჯეს. ამასთან კიევის გეი-საზოგადოებაში ლიაშკო მთავარი ვარსკვლავია. პრესაში იწერებოდა, რომ უკვე დეპუტატის რანგში, ლიაშკომ ნარკოტიკებით გააბრუა და გააუპატიურა 16 წლის ახალგაზრდა.

**არსენ ავაქოვი** – ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი, უკრაინულ პრესას თუ დავუჯერებთ, 90-იან წლებში მკვლელობების და ყაჩაღობის ფაქტებში ფიგურირებს. გუბერნატორობისას, ბიუჯეტიდან არამიზნობრივმა ხარჯებმა 120 მილიონ გრივნა შეადგინა, სამაგიეროდ მისმა პირადმა ქონებამ 400 მილიონ დოლარს მიაღწია. გამოძიების ვერსიით, სახელმწიფო მიწები, ყალბი დოკუმენტებით, ავაქოვის კუთვნილი ფირმების საკუთრებაში გადავიდა. ციხისთვის თავი რომ დაეღწია, ავაქოვი იტალიაში გაიქცა. მალე ავაქოვის სახელი არასრულწლოვანთა გაუპატიურების საქმეშიც გამოჩნდა. მისი მეგობარი „მაქსიმი“, ავაქოვთან ნაცნობობის პერიოდში, არასრულწლოვანი იყო და პარტიის ლიდერს ორი წელი „ემსახურა“. იტალიაში გაქცევამდე ავაქოვმა ბიჭი „ბატკივშინაში“ თავის თანამოძმე ალექსანდრ კირშს გადააბარა.

ახალგაზრდობისა და სპორტის ახალი მინისტრი **დმიტრი ბულატოვი,** საზოგადოებამ ყურის გამო გაიცნო, რომელიც თითქოს იანვარში მოაჭრეს უცნობმა პირებმა, თუმცა, ძიებისთვის ჩვენების მიცემაზე ბულატოვმა უარი განაცხადა. „მოჭრილი“ ყური თავის ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო „საშინელი ცემის“ კვალი გაქრა. ოპოზიციონერს გამტაცებლების სახეები ვერ დაუმახსოვრებია. ახლა ბულატოვი მთელ სამინისტროს ხელმძღვანელობს. სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ კი, ღამის კლუბის უბრალო ადმინისტრატორი იყო და პარასკევობით გეი-საღამოების ორგანიზატორის როლში გვევლინებოდა.

**Reportiori.ge**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● **ყირიმელები არ აცხადებენ პროტესტს იმის გამო, რაც ყირიმში მოხდა და მაია ფანჯიკიძე პროტესტს აცხადებს იმის გამო, რაც ყირიმში მოხდა!**

**ყირიმელები პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ მაია ფანჯიკიძე პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ... და ა. შ.**

● **გამოვიდა ანგელა მერკელის ბოლო განკარგულება „შვაინშტაიგერი“ – რუსეთიდან მომავალი გაზის გადაკეტვის საშიშროებასთან დაკავშირებით, ვიღებთ პრევენციულ ზომებს და თითოეული გერმანული ოჯახი მიიღებს რუსული შეშის 7 კუბურმეტრს!**

● **ხრუშჩოვი ყველგან ხრუშჩოვია!**

**თბილისის ხრუშჩოვკები ქეთრინ ეშტონს და ნატოს ჯარებს ელოდებიან.**

● **ჩვენი საყვარელი სასამართლოს ამბავი რო ვიცი, კოდუას ყველა ბრალდებას მოუხსნის – მარტო ჟორჟოლიანის ქმრობის ეპიზოდში ცნობს დამნაშავედ და გირაოთი გამოუშვებს.**

● **ეს ძაღლისთავიანი ტიპები რო მომრავლდა ქართულ სარეკლამო ბაზარზე - მოწვეული მსახიობები არიან, თუ აქაური დამწყებნი? ვერ ვიხსენებ მსგავსი გარეგნობის ხალხს ქართულ ფილმებში...**

● **ხალხო, აძვერით რომელიმე ბროლის კოშკზე და აკოცეთ იმ კაცს, გააღვიძეთ. ქენით მადლი.**

● **ყოველწლიურად აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული „დედამიწის ექსპერტების ინსტიტუტი“ აქვეყნებს ბედნიერების მსოფლიო რეიტინგს. ანუ, რომელი ქვეყანა არის ყველაზე ბედნიერი და რომელი – სულ პირიქით. სულ 156 ქვეყანაა ამ სიაში.**

**2013 წელს პირველ ადგილზე გავიდა დანია. მას მოსდევს ნორვეგია, მერე შვეიცარია, ჰოლანდია და ა.შ.**

**ბოროტი რუსეთი 68-ე ადგილზეა.**

**ჩვენი მეზობელი სომხეთი – 128-ე ადგილზე.**

**ყველაზე უბედური ქვეყანა ყოფილა ტოგო.**

**აი ასე...**

**ჰო, მთავარი დამავიწყდა.**

**ჩვენი ეკონომიკურად მზარდი ქვეყანა, რომლის არც ერთი მცხოვრები არ გაცვლის თავის სალ კლდეებსა და სიპ ქვებს სხვა ქვეყნების სამოთხეებზე, არის ღირსეულ 138-ე ადგილზე.**

**ჩვენს წინ ლიბერიაა. ჩვენს შემდეგ მოდის ნეპალი თავისი ევერესტებით. არც ევერესტებში ყოფილა თურმე ბედნიერება...**

● **განათლებას შეუკვეცეთ ბიუჯეტი, თორემ ვისაც 2 წიგნი წაუკითხავს ისინიც უმუშევრები არიან.**

ამოკრიბა
გია გაბრიჩიძე

წკეპლიკა

# დიდი თურქობა, სექსუალური უკმარისობა და სხვ...

**საკმარისი არ აღმოჩნდა თურქული კომპანიების აღზევება და ახლა ქართული ტელესივრცის დაპყრობა მიმდინარეობს. თურქეთის სპეცსამსახურებში ხომ არ თანამშრომლობენ ჩვენი სატელევიზიო არხების მესვეურნი? მაესტროს არხზე წარმოდგენილი ე. წ. „სუბიექტური აზრი“ ჟესტიკულაციების თანხლებით, ეს ხომ ჟურნალისტიკის ხელოვნების „დიდებული“ მაგალითია, ხოლო „არგუმენტები“ არგუმენტების გარეშე – მიშას პროკურატურის ორეული. დასანანია, რომ ერთ დროს საინტერესო არხი გადაიქცა საოცრად მდარე გემოვნების სანახაობებად.**

**„ნანუკას შოუ“ წამყვანის ჩაცმულობით „მაღალი მოდის“ ჩვენებაა, შინაარსზე რომ არაფერი ვთქვათ. ე. წ. „პროფილი“ კი ცრემლებით დანამული სიყვარულისა და სექსუალური უკმარისობის მატიანეა.**

**ხომ არ აჯობებდა კავკასიის არხს „აქუს მონოლოგი“ დაერქვას.**

**ინგა, მიკროფონი გამიღე პირიდან, ყრუები არ ვართ, გვესმის!!!**

ლონდა მდივანი

◉ სტუმარი

# ლევან ყიფიანი იუდიტ პოლგარს შეხვდა



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი ცნობილ უნგრელ მოჭადრაკეს იუდიტ პოლგარს მასპინძლობენ.**

შეხვედრას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძეც დაესწრო. მხარეებმა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლების და განვითარების შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

იუდიტ პოლგარი მთაწმინდის პარკში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ზურაბ აზმაიფარაშვილის ევროპის საჭადრაკო ფედერაციის საარჩევნო კამპანიის ოფიციალური პლატფორმის წარდგენას დაესწრო – ლეგენდარული უნგრელი მოჭადრაკე თბილისში სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდა.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა წარადგინა იმ ადამიანთა ნაწილი, ვისთან ერთადაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში იბრძოლებს. არჩევნების წესდების თანახმად კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, კანდიდატად მხოლოდ გუნდთან ერთად რეგისტრირდება. იუდიტ პოლგარი აზმაიფარაშვილის გუნდის წევრი იქნება.

ევროპის ჭადრაკის ფედერაციის არჩევნები 12 აგვისტოს ტრომსოში (ნორვეგია) გაიმართება. პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძოლებს ევროპის ჭადრაკის ფედერაციის მოქმედი ბულგარელი პრეზიდენტი სილვიო დანაილოვი. კანდიდატთა დარეგისტრირების ვადა 5 მაისს იწურება.

ზურაბ აზმაიფარაშვილის საარჩევნო კამპანიის ოფიციალური პლატფორმის წარდგენას ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, აგრეთვე საბერძნეთის და მონაკოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტები, საქართველოს ექს-პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ჭადრაკში მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდია დაესწრნენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ რაგბი

# საქართველომ ერთა თასი მეთექვსმეტეზე დაასრულა

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ერთა თასისა და 2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპი მეთექვსმეტე ადგილზე დაასრულა.**




„ბორჯღალოსნებმა“ რუმინეთის ძლევით სარეიტინგო ქულებიც მიიღეს, მაგრამ ეს წინსვლისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა. ყველაზე დიდი წინსვლა ირლანდიას ჰქონდა, რომელმაც „სტად ფრანსეზე“ 22:20 მოგებით მეხუთე ადგილი დაიბრუნა და საფრანგეთი მეშვიდე ადგილამდე დააქვეითა. „ერთა თასის“ დონეზე ესპანეთს პორტუგალიის ძლევამ 21-ე ადგილი გაუმყარა, ხოლო პორტუგალიელებმა ორი ადგილი დაკარგეს.

**რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მსოფლიო რეიტინგის საუკეთესო ოცეული:**

1 (1). ახალი ზელანდია 93,81, 2 (2). სამხრეთ აფრიკა 89,34, 3 (3). ავსტრალია 86,88, 4 (4). ინგლისი 85,68, 5 (6). ირლანდია 82,13, 6 (7). უელსი 80,70, 7 (5). საფრანგეთი 80,07, 8 (8). სამოა 77,34, 9 (9). არგენტინა 76,44, 10 (10). შოტლანდია 75,16, 11 (11). ფიჯი 74,21, 12 (12). ტონგა 73,21, 13 (13). იაპონია 72,06, 14 (14). იტალია 72,05, 15 (15). კანადა 70,75, 16 (16). საქართველო 70,46, 17 (17). რუმინეთი 68,08, 18 (18). აშშ 67,41, 19 (19). რუსეთი, 62,58, 20 (20). ურუგვაი 60,77.

**კობა კობახიძე**

◉ ძიუდო

# ქართული განაცხადი ჩიკოიძემ შეავსო

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ თბილისის გრან პრიზე დასაყენებელი შემადგენლობა დააზუსტა. ახლახან ძიუდოს ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა 29-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომელსაც ერთი ფალავანი გამოაკლდებოდა. უზნაძეს არჩევანი 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში უნდა გაეკეთებინა რევაზ ჩიკოიძესა და გიორგი ნოზაძეს შორის. საბოლოოდ სატურნირო განაცხადში ჩიკოიძე ჩაიწერა.**



რევაზ ჩიკოიძემ შარშან ნოემბერში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მიმდინარე სეზონში კი ერთი თვის წინათ ობერვარტის ღია ტურნირზე იჭიდავა და საწყის ეტაპზევე დამარცხდა არაბეთის გაერთიანებული საამიროების მოლდოველ წევრ ივან რემარენკოსთან.

100 კილოგრამში ქართული დროშის ქვეშ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი, ახალგაზრდებს შორის ევროპის ასევე მოქმედი ჩემპიონი გურამ თუშიშვილიც იჭიდავებს. 19 წლის სპორტსმენის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში გამოჩენამ თავისთავად დაადასტურა ბოლო დროს გავრცელებული ხმა, მისთვის საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიერ დაწესებული სასჯელის მოხსნის შესახებ. შეგახსენებთ, შარშან, წლის ბოლოს, ფედერაციამ თუშიშვილი ასევე ახალგაზრდული ნაკრების წევრ ლაშა ტაველურთან ერთად, გუნდის საწვრთნელ შეკრებაზე ალკოჰოლური სასმელის მიღების გამო დასაჯა. თუშიშვილს ერთწლიანი იძულებითი დასვენება ჰქონდა მისჯილი, ხოლო ტაველურს – 6-თვიანი.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ ინტერნეტიდან

# მომხიბლავი სპორტული ჟურნალისტი

**სანამ ჩვენთან იმაზე ბჭობენ, ქალის ადგილი სამზარეულოშია თუ საწოლში, არგენტინაში ლამაზმა ქალებმა თითქმის ყველა სფერო მოიცვეს, განსაკუთრებით კი ჟურნალისტიკა დაიპყრეს და ტურფა ტელეწამყვანებს ხომ თვლა აღარა აქვთ.**

„ვერცხლის ქვეყანაში“ გამორჩეულად პოპულარულია სპორტული წამყვანი ივანა ნადალი, რომლის მომხიბლაობა და სექსუალურობა არა მხოლოდ არგენტინას, ოკეანესაც კი გასცდა და მრავლისმნახველ ევროპამდეც ჩამოაღწია.

ივანა ნადალი გარდა იმისა, რომ სპორტული ჟურნალისტია, თავისუფალ დროს არც ფოტოკამერების წინ პოზიორობაზე ამბობს უარს და თავისი სხეულის მომხიბლაობით არაერთ კაცს უხარებს გულს. ივანა სპორტში რამდენად კარგად ერკვევა, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ გახდა რომ კარგად ეხერხება, ცხადია...

**როსტომ რაჭველიშვილი**



◉ კორუფციის ჭაობში

# ფიფას ვიცე-პრეზიდენტს ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ




**ფიფას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯეკ უორნერი, მისი ოჯახი და გარემოცვა 2022 წელს ყატარში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კორუფციულ სკანდალში გაეხვნენ.**

ბრიტანული გამოცემა Daily Telegraph-ის ინფორმაციით, ფიფას აღმასკომის სხდომის მერე, რომელზეც არჩევანი ყატარის სასარგებლოდ გაკეთდა, უორნერმა პირადად მიიღო 1,2 მილიონი დოლარი ერთ-ერთი კომპანიისგან, რომელიც აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტს მოჰამედ ბინ ჰამამს ეკუთვნოდა. უორნერის ორ ვაჟსა და მისი გარემოცვის ერთ-ერთ უახლოეს პირს ამავე სტრუქტურამ საერთო ჯამში 1,12 მილიონი დოლარი ჩაურიცხა.

შეგახსენებთ, რომ ბინ ჰამამსა და უორნერს ფიფას პრეზიდენტის არჩევნების დროს კარიბის ზღვის აუზის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლების მოსყიდვაში ადანაშაულებდნენ, რის შემდეგაც მათ თანამდებობები დატოვეს.

ფიფაში უკვე უარყვეს Daily Telegraph-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა და განაცხადეს, რომ ყატარში მუნდიალის ჩატარების გადაწყვეტილების მიღებისას კორუფციას ადგილი არ ჰქონია.

**გიორგი შოთაძე**

საპროცენტო განაკვეთი

# ბევრი მიაქვთ და ცოტას გვაძლევენ

**კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის, როცა კი საქმე კომერციული ბანკიდან მეტ-ნაკლებად დიდი სესხის აღებაზე მიდგება, გირაოს ერთადერთი საშუალება უძრავი ქონება — საკუთარი საცხოვრისია. ამდენად, იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს მსესხებლისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამას საგრძნობი გავლენის მოხდენა შეუძლია კრედიტის დაბრუნებაზე.**

ამდენად, ვფიქრობთ, იპოთეკარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს კომერციული ბანკების უმეტესობამ ლარით გაცემულ თუ გასაცემ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაზარდა. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, იპოთეკურ სესხზე საპროცენტო განაკვეთი 0,25 პროცენტით გაიზარდა და დღესდღეობით 4 პროცენტია. კლიენტებისთვის სესხებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდას კომერციულ ბანკებში რეფინანსირების შესახებ ამ გადაწყვეტილებას უკავშირებენ **(რეფინანსირება — სესხის ვადის გაგრძელება და მისი მოცულობის გაზრდა, იპოთეკური კრედიტის სხვა უძრავ ქონებაზე გადატანაა — რედ.)**. ასევე განამარტავენ, რომ ლარებით გაცემული იპოთეკური სესხების პროცენტი სწორედ რეფინანსირების განაკვეთის შესაბამისად იანგარიშება და მისი შეცვლა სესხის პროცენტის სიდიდეზე აისახება. ხაზს ვუსვამენ იმ გარემოებასაც, რომ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ზუსტად იმდენითვე გაიზარდა, რამდენადაც მატება რეფინანსირების განაკვეთს შეეხო.

თუმცა რეფინანსირების განაკვეთის მომატებას ყველა კომერციული ბანკის მიერ გაცემულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდა არ მოჰყოლია. კერძოდ, იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები გაზარდეს „საქართველოს ბანკმა", „თიბისი ბანკმა", კიდევ მრავალმა სხვამ, ამის გაკეთების შესაძლებლობა კი მათ კლიენტებთან გაფორმებული აშკარად უთანასწორუფლებო ხელშეკრულებები აძლევს, რომელთა შესახებ უფრო დეტალური ლაპარაკი მომდევნო პუბლიკაციაში გვექნება.



აღნიშნულის დასტურად „თიბისი ბანკის" განმარტებას მოვიყვანთ: **„ეროვნული ბანკის" რეფინანსირების განაკვეთის გაზრდას ან შემცირებას არანაირი კავშირი არა აქვს ბაზარზე არსებული სასესხო პროდუქტების საპროცენტო განაკვეთებთან, გარდა ლარის ცვლადგანაკვეთიანი იპოთეკური სესხისა. ეს პროდუქტი — ცვლადგანაკვეთიანი იპოთეკური სესხი ლარში — თავისთავად გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ ზრდას ან შემცირებას , თუმცა, არის ხოლმე პერიოდები, როდესაც ამ სესხის საპროცენტო განაკვეთი არ იცვლება"**.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ლარებით გაცემულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი არ გაუზრდიათ „ლიბერთი ბანკში" და, რამდენადაც ცნობილი გახდა, ამის გაკეთებას არც უახლოეს მომავალში არ აპირებენ.

რადგან ლაპარაკი საპროცენტო განაკვეთების დინამიკას ეხება, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს აღნიშნულ საკითხზე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს წლევანდელი იანვრის მონაცემები. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები. **წლევანდელი წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 6,2 პროცენტია, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 8,8 პროცენტი, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე კი 5,3 პროცენტი.** აქვე დავძენთ, რომ უცხოური ვალუტით კომბანკებში განთავსებული დეპოზიტების 80,1 პროცენტი დოლარზე, ხოლო 17 პროცენტი ევროზე მოდის, დანარჩენი წილი — სხვადასხვა ქვეყნის ფულად ერთეულებზეა. ამასთან, საყურადღებოა, რომ შარშანდელ ზაფხულთან შედარებით წლეულს დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები (ანუ დამბანდებელთა სარგებელი) დაახლოებით 8-10 პროცენტიდან აღნიშნულ მაჩვენებლამდე შემცირდა და ეს ყველა ბანკში, ფაქტობრივად, მყისიერად მოხდა, რის უფლება ბანკებს, როგორც ზემოთ ვთქვით, სრულიად კანონიერია, რადგან მისი შეცვლის შესაძლებლობას კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებები აძლევს. ამასთან დაკავშირებით მრავალი ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს, პირველ ყოვლისა, საბანკო სექტორში კონკურენციის დაბალ დონესა და, შედეგად, გარკვეული კარტელური შეთანხმების ეჭვს იწვევს, რასაც, სამწუხაროდ, ეროვნული ბანკის ჯეროვანი რეაქცია არ მოჰყოლია.

**ოთარ ტურაბელიძე**

თენგიზ მენთეშაშვილი, გივი ანჩაბაძე, ბორის სარალიძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ზაურ მესხიშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, მიშა წულაძე, ავთანდილ საყვარელიძე, თემურ თოფურიძე, თამაზ გაბუნია, ნიკო ლეკიშვილი, ჯემალ მიქელაძე, ედუარდ ვასილიევი, გურამ დიდბარიძე, დავით სალარიძე, აბესალომ იმედაშვილი, გივი თალაკვაძე, ლევან დოლიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან კოლეგისა და უახლოესი მეგობრის მია ჩიქოვანის შვილის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის

**თემურ ქუთათელაძის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გელა ქოქიაშვილი ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების

**ბორის ბოჭორიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გრიგოლ შონია, ნუნუ სხირტლაძე, ლიანა შონია, ბექა შონია თანაუგრძნობენ ტარიელ შონიას მეუღლის, უკეთილშობილესი ქალბატონის

**გიული მიხეილის ასულ შონიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და ახლობლებს.

---

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის, კეთილშობილი, კაცთმოყვარე პიროვნების

**თამაზ შალვას ძე გოგებაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

## მაროკოს მოქალაქემ საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა

**შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 1989 წელს დაბადებულმა კეჯჯი ი-მ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სასაზღვრო საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით უკანონოდ გადმოკვეთა.**

გამოძიება საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

განცხადება გაზეთის ა/წ 15 მარტის №52-ში გამოქვეყნებული განცხადების ტექსტში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. ტექსტიდან ამოღებული იქნეს მე-4 აბზაცი;

2. შენიშვნებისა და წინადადებების მიწოდების ვადა ნაცვლად 1 მაისისა იქნება 29 აპრილი.

შპს „მირაბილიტი მაინინგის" ადმინისტრაცია

ალიან-ჩალიანი

## რას მოგვიტანს სერბეთის გამოცდილება?

**აგრარული** კოოპერატივების განვითარებასთან დაკავშირებით ქართული დელეგაცია სერბეთის გამოცდილებას გაეცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, ქართული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლები შედიოდნენ, სამუშაო ვიზიტით სერბეთში იმყოფებოდნენ.

სამინისტროს განმარტებით, ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სერბეთის, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და კოოპერატივების განვითარების სტრატეგიის გაცნობა.

საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს სერბეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ პირებთან, ექსპერტებთან და ადგილობრივ ფერმერებთან.

სერბმა კოლეგებმა ქართული დელეგაციის წევრებს გამოცდილება გაუზიარეს ისეთ მიმართულებებთან დაკავშირებით, როგორიცაა: კოოპერატივების ხელშემწყობი პოლიტიკა ევროკავშირსა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, კოოპერაციის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები, საკანონმდებლო ბაზა, მიწების გაერთიანება და მიწის ბაზრის განვითარება, ხარისხის კონტროლი და სასურსათო უსაფრთხოება, პროდუქტების საწარმოო-სარეალიზაციო ჯაჭვი კოოპერატიულ სექტორში და კოოპერატივების ტიპები და მართვის პრინციპები.

## რათა ისარგებლონ სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამებით

**საჯარო** რეესტრი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კოოპერატივებს არეგისტრირებს. სს კოოპერატივის დარეგისტრირება და მისი სტატუსი მეწარმეებს კანონით განსაზღვრული შეღავათებითა და სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს.

მეწარმეთა კოოპერირება სოფლის მეურნეობის განვითარებას, სოფლად სიღარიბის დაძლევას, ბიოლოგიურ და საკომლო (საოჯახო) მეურნეობების განვითარებას შეუწყობს ხელს.

„მეწარმეთა შესახებ" და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სს კოოპერატივები კერძო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. შესაბამისად, მათ რეგისტრაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს, ხოლო სტატუსის მინიჭებას — სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

## უჟანგბადობით თევზები დაიხოცნენ

**სურსათის** ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კუმისის ტბაზე თევზების დახოცვა უჟანგბადობამ გამოიწვია. როგორც „ინტერპრესნიუსს„ სურსათის ეროვნულ სააგენტოში განუმარტეს , ვეტერინარებმა კუმისის ტბაზე ვითარება შეისწავლეს და დადგინდა, რომ თევზების დახოცვის მიზეზი რაიმე ტიპის დაავადება ან მოწამვლა არ არის. უწყების ცნობით, შემთხვევა ტბაში ჩამდინარე წყლის ნაკლებობამ და უჟანგბადობამ გამოიწვია.

ამასთან, როგორც სააგენტოში განმარტავენ, ტბაზე ერთ-ერთ მეწარმეს თევზსაშენი აქვს მოწყობილი, მეწარმემ თევზის ნაწილის რეალიზაცია მათ დახოცვამდე მოასწრო, გამორიყული თევზი კი, შეაგროვა და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების თანდასწრებით დამარხა.

სააგენტოში აცხადებენ, რომ დახოცილი თევზი ბაზრებში, სავაჭრო ობიექტებში არ მოხვდება.

## საიდუმლო სამალავების საქმეზე განაჩენი გამოტანილია

**სამეგრელოში** აღმოჩენილი საიდუმლო სამალავების საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, ერთი პირი სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა.

მოსამართლე გიორგი დარახველიძის გადაწყვეტილებით, 13 ბრალდებულიდან უდანაშაულოდ მხოლოდ ერთი, რუსლან შამახია იქნა ცნობილი.

საქმეში ბრალდებულ კოხტა თოდუას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. 9 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად შეეფარდა მიმალვაში მყოფ მეგის ქარდავას. სწორედ კოდუა და ქარდავა ითვლებოდნენ საქმეში ამ დრომდე ძებნილებად.

რაც შეეხება ბრალდებულ ირაკლი ახალაიას, მას მოსამართლის გადაწყვეტილებით, 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ბრალდებულ პაატა ქირიას — 6 წლით, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანს კობა თოდუას — 9 წლით, გიორგი ბულიას — 6 წლით და თემურ უბირიას 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

აღნიშნული პირები რამდენიმე ბრალდებაში ნაწილობრივ უდანაშაულოდ ცნეს და მოსამართლის განაჩენი სწორედ ბრალდების იმ მუხლებიდან გამომდინარეობს, რომელშიც სასამართლოს გადაწყვეტილებით, ისინი დამნაშავეები არიან.

საქმეში კიდევ 3 ბრალდებულს ლევან ქირიას, მარლენ ხვიტიას და გოჩა შონიას, როგორც ცნობილია საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ.

სამეგრელოში შენიღბულად მოწყობილ, სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილი იქნა ვიდეოფირები. ფირებზე აღბეჭდილი იყო ადამიანების წამების, ასევე სექსუალური ხასიათის დანაშაულები.

## ამოღებულია დიდი რაოდენობით ჰეროინი

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა , ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული მარიამ კ. და 1986 წელს დაბადებული ინგა ჯ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. მათი დაკავება თბილისში მოხდა.

შს სამინისტროს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა ნარკოტიკული საშუალება წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეიძინეს და ინგა ჯ-ს საცხოვრებელ ბინაში შეინახეს. სამართალდამცველებმა ინგა ჯ-ს ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად 6,688 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 2,3207 გრ ჰეროინს შეიცავს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად მარიამ კ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

**ინტერპრესი**

## ჩვენი კარაბადინი

# საგაზაფხულო დავარდნა

## შეამოწმეთ – ხომ არ გაქვთ დეპრესია

**პარადოქსულია, მაგრამ გაზაფხულზე, როდესაც უფრო თბილი დღეები დგება, დღე კი უფრო ხანგრძლივი ხდება, ბევრ ჩვენგანს ცუდი განწყობილება უჩნდება. ბევრი ამას სეზონურ დეპრესიას უწოდებს. მაგრამ ასეა ეს მართლაც? და თუ ეს მართლა დეპრესიაა, როგორ მოვიქცეთ, რომ მდგომარეობა აღარ გაუარესდეს?**

### მოსაწყენია, დარდი გაწუხებს?

**დავიწყოთ იმით, რომ უბრალოდ ცუდ განწყობილებას, თუნდაც იგი გაჭიანურებული იყოს, და ნამდვილ დეპრესიას შორის უზარმაზარი სხვაობაა. დეპრესია — ესაა არა მხოლოდ „როცა მოწყენილიცა ხარ და დარდიც გაწუხებს“. ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელია ინტერესის დაკარგვა ცხოვრებისადმი, სიამოვნების შეგრძნების უნარის დაკარგვა, ძალების დაქვეითება, დაბალი თვითშეფასება, უძილობა ან პირიქით, — მძინარობა, მადის უქონლობა ან, სულაც, გაუკონტროლებელი „გაუმაძღრობა“, საქმეზე ყურადღების გამახვილების უუნარობა. ზოგჯერ დეპრესიას თან ახლავს განგაშის გრძნობაც.**

არ გაქვთ ასეთი გამოვლინებები? ძალიან კარგი, მაშასადამე, თქვენ უბრალოდ თვალყურის გადატანა სხვა რამეზე გჭირდებათ, მონახოთ რაიმე სასიამოვნო საქმე, გაიხაროთ რაიმეთი თავი. სავსებით შესაძლებელია, ეს საკმარისი იყოს განწყობილების გაუმჯობესებისთვის.



არის დეპრესიის სიმპტომები? მაშასადამე, ნუ შეგეშინდებათ, აღიაროთ საკუთარ თავთან, რომ თქვენ ამ მდგომარეობაში ხართ. ჩვენში არაა მიღებული დახმარებისთვის მიმართოთ ფსიქოლოგს ან, მით



უმეტეს, ფსიქიატრს — გვრცხვენია. არადა, არაფერი ამაში საძრახისი არაა. ჯერ კიდევ 10 წლის წინათ დეპრესიული მოშლილობა შევიდა დაავადებათა გლობალური ტვირთის ძირითადი მიზეზების სამეულში. ეს დიაგნოზი დღეს მთელ მსოფლიოში 350 მილიონზე მეტ კაცს აქვს დასმული.

### გამეორებები რომ აღარ იყოს

**თუ ადამიანს თუნდაც ერთხელ გაუჩნდა დეპრესია, შემთხვევების 50 პროცენტში იგი მას გაუმეორდება. თუ ორჯერ გაუჩნდა, მაშინ იმის რისკი, რომ იგი კვლავ მოვა, 70 პროცენტით იზრდება.** ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ მოვიხსნათ პირველი დეპრესია. გამოვიყენოთ ფსიქოთერაპიის მეთოდები. პაციენტების 80 პროცენტამდე თავიდან იცილებენ დეპრესიას სულ ერთ თვეში. მაგრამ თუ დეპრესიას არ ვუმკურნალებთ, იგი გაჭიანურებულ ხასიათს იძენს. და იქიდან გამოსვლა უკვე ძალიან რთულია.

### ვინ ვინაა

**უნდა გვესმოდეს, თუ რომელ სპეციალისტს უნდა მივმართოთ, როდესაც გვაქვს დეპრესიის ნიშნები.**

- რაიონული პოლიკლინიკის ფსიქოთერაპევტი — პირველია, ვისთანაც უნდა მივიდეთ დეპრესიაზე ეჭვის დროს. თუ ასეთი ჩვენს რაიონში არაა, უნდა მივმართოთ ნევროლოგს.
- კლინიკის ფსიქოლოგი დაგვეხმარება გამოვიდეთ დეპრესიიდან საექიმო მეთოდიკების დახმარებით.
- სოციალური ფსიქოლოგი დაგვეხმარება იმით, რომ ჩვენთან ერთად შეადგენს კრიზისიდან გამოსვლის პროგრამას. ამ სპეციალისტის დახმარება განსაკუთრებით აუცილებელია, როდესაც დეპრესია გამოწვეულია პრობლემებით ოჯახში, სამუშაოს დაკარგვით.

ნუ გეშინიათ ფსიქონევროლოგიური დისპანსერებისა. დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ფსიქიატრთან მისვლა დეპრესიის გამო ადამიანს შეიძლება კარიერის დაკარგვად დაჯდომოდეს, დისპანსერში მისვლა კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში საწოლად ექცეოდა ხოლმე. დღეს ადამიანისთვის, ვინც იქ დახმარებისთვის მივიდა, არანაირი უარყოფითი შედეგი არ იქნება. დღეს ბევრგანაა გახსნილი ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტი ან განყოფილება, მუშაობს სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტი ან კრიზისული მდგომარეობის განყოფილება. შეიძლება დარეკონდობის ტელეფონზე, სადაც ყოველთვის არის შესაძლებლობა მიიღო ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

### მნიშვნელოვანია

- დეპრესია ჩვეულებრივად გვიტევს ზამთარში ან გვიან შემოდგომაზე, ვინაიდან ამ პერიოდში უფრო ნაკლებია მზიანი დღეები — სეროტონინის, ოპტიმიზმისა და კარგი განწყობილების სხვა ჰორმონების მთავარი მწარმოებლები.
- დეპრესიის მიზეზი ფსიქოლოგიური სტრესი ხდება, ეს ბევრისთვის ცნობილია. არა მხოლოდ ცხოვრების სერიოზული გამოცდები — მახლობელთა, მეგობართა, სამუშაოს დაკარგვა, არამედ ნაკლებად მძიმე ვითარებანიც — განქორწინება, კონფლიქტები ოჯახში, დაძაბული ვითარება სამსახურში, კრედიტის გადახდის აუცილებლობა, ყოველდღიური საცობებიც კი სამსახურის გზაზე. დღეს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ზოგჯერ ყოველდღიურ სტრესს განიცდიან, 47 პროცენტამდე გაიზარდა.

დეპრესია ზოგჯერ ხანდაზმულებსაც „აკითხავს“.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ქუჩინიკური გაზეთებიდან



### პროკურატურა ლაშა ნაცვლიშვილის დაკავებას გეგმავს?

„თავისუფალი საქართველოს“ ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურა ლაშა ნაცვლიშვილის დაკავებას გეგმავს. ამ ეტაპზე პროკურატურა ცდილობს, მოიპოვოს მტკიცებულებები მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის წინააღმდეგ და ამ მიზნით ის რამდენიმე პირთან ერთდროულად მუშაობს, რომლებსაც სთხოვენ ნაცვლიშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.

— ცალსახად და ნათლად რაც შეგვიძლია ვთქვათ, ის არის, რომ არ გვგონია ეს დაკავება სამართლიანობის აღდგენას უკავშირდებოდეს. ეს არის, ალბათ, შიდა დაპირისპირების მაჩვენებელი, — ამბობს „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური მდივანი თენგიზ ომანიძე.

**„ალია“**

### „სასამართლოში ვუჩივლებ!“

— იმუქრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, — კულტურის სამინისტროს მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილების აქტი სასამართლოში უახლოეს დღეებში გასაჩივრდება. სარჩელი არასამთავრობოებთან და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებთან ერთად მომზადდა. სამინისტროში პასუხი უნდა აგოს ყველა იმ პირმა, რომლებმაც ბოლო აქტი შეიმუშავეს და კომპანია „არმიჯი გოლდს“ იქ სამუშაოების გაგრძელების უფლება მისცეს. ყველამ ერთად უნდა გავაპროტესტოთ არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ჩადენილი დარღვევები, არამედ ის უმძიმესი ეკოლოგიური ვითარება, რომელიც კაზრეთშია, — ამბობს მიზანდარი.

**„ახალი თაობა“**

### ახალგორში შესასვლელად 1 მაისიდან სპეცსაშვი იქნება საჭირო

„ყველას გასაგონად ვამბობ! 1 მაისიდან ფორმა 9 უკვე ძალაში აღარ იქნება. სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისთვის სხვა საბუთი უნდა აიღოთ. ამიტომაც გთხოვთ, თადარიგი ახლავე დაიჭიროთ, — უკვე რამდენიმე დღეა, ახალგორის მიმართულებით სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საზღვარზე რუსი სამხედროები უკლებლივ ყველა სამარშრუტო ტაქსის მგზავრს საგანგებოდ აფრთხილებენ. რატომ იცვლება ფორმა 9, სად უნდა აიღო ახალი საბუთი და რომელი უწყება გასცემს, რუსულ ბლოკ-საგუშაგოებზე მყოფი რუსი სამხედრობი ამას არ აკონკრეტებენ.

**„რეზონანსი“**

რეკლამა
299-62-77;
599 32-85-76.
„საქართველოს რესპუბლიკაში“

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**— იცი, რა მარო, ჩემი ცხოვრების საუკეთესო მომენტებისათვის ფეხბურთის მადლიერი ვარ, — ეუბნება დაქალს თიკო.**

**— რაო, დავიჯერო, რომ ჩვენი „დინამოს“ საგულშემატკივროდ სტადიონზე დადიხარ?**

**— არა, სტადიონზე ჩემი ქმარი დადის, მე კი ამ დროს ჩვენს მეზობელ გიგისთან დავდივარ...**

* * *



**— ჰო, ჩემო კარგო, თქვენ ან სმის მიტოვება მოგიწევთ, ანაც მხედველობას უნდა გამოემშვიდობოთ.**

**— ეჰ, როგორც ჩანს, ხელის ცეცებით მომიწევს არყის დასხმა...**

* * *

**— ძვირფასო, მომეცი საშუალება, დაგიმტკიცო, რომ ნამდვილი მამაკაცი ვარ, — ეუბნება ტიპი ქალს.**

**— კარგი, ამისთვის ორი საათი გაქვს და არც ერთი წუთით ნაკლები.**

* * *

**ცოლ-ქმარი ქუჩაში მიდის. ვიღაც უცნობი მამაკაცი მათ ელეგანტურად მოუხდის ქუდს და თავაზიანად მიესალმება.**

**— ნახე, როგორი თავაზიანი და სასიამოვნო ადამიანია? — ამბობს ქმარი.**

**— თავაზიანი და სასიამოვნო, არა! ერთი გაცოდინა, როგორ აუტანლად ხვრინავს.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24